№ 2829
ხუთშაბათი,
26 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2829
ხუთშაბათი,
26 მაისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—8მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цисбисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ქვრივი ნინო ნიკოლოზის ასული სალაძისა, თეიმურაზ, ვიქტორ და მიხაილ სალაძეები, ნიკოლოზ და ელიზავეტა ჯაკობიები აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა 28 მაისს, ქალაქ ბათუმში, სასაფლაოს ეკკლესიაზე, საათის ათზე დილით, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გადაცვალებულის—პირველი საყვარელი მეუღლისა, მეორე—ძვირფასის შვილისა, მესამე დაუვიწყარი ძმისა, ხოლო მეოთხენი ძვირფასი სიძისა

ილია თეიმურაზის ძის სალაძის

სულის მოსახსენებლად. (1—233—1)

კნეინა ანნა ანდრიას ასული რატიშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი მეუღლისა, დანარჩენნი—დაუვიწყარ მამისა

თ. მიხეილ გიორგის ძე რატიშვილისა.

დაკრძალვა მოხდება სოფ. ქსოვრისში შაბათს, 28 მაისს. (1—1)

სოფ. ჭოლევში (სადგ. გელათი) 25 მაისს გარდაიცვალა

ილია იოსების ძე ჭიჭინაძე.

ამას აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე იმისი **ალექსანდრა ივანეს ასული**, დედა, ძმები: **ალექსი, ანდრია** და **ვარლამ**, დები: **ანეტა, ლუციანა, ელისაბედ** და **ელენე**. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—1)

სავაჭრო სახლი
ა. ვ. გაიდამაკინისა და ამხ.-სა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევიძინეთ მთელი საქონელი ამიერ-კავკასიის საწყობებისა, რომელიც ეკუთვნოდა შემდეგ ქაღალდის ქარხნების ადმინისტრაციას: ქაღალდის ქარხანას გ. ი. პალლიზენს და კომპ., რეევის ქაღალდის ქარხნის ამხანაგობას და კოშელევის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებას.

გარდა ამისა ჩვენი სავაჭრო სახლი წარმომადგენელია **ფინლიანდიის საუკეთესო ქარხნებისა**, რომელნიც ეკუთვნიან სააქციონერო საზოგადოებას **კიუმმენეს, კუზანოკსკისა და ვოიკისას**, სადაც მზადდება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ხარისხის ქაღალდები; ბოსტის, საწერი, სასტამბო, საალბომო და სხვა, ექვს მილიონ მანეთზე მეტად ღირებული. აგრეთვე რუსეთის ქარხნების—**სპოსოგინისა და კროტოვის** გორბატის ქაღალდის ქარხანათა ამხანაგობისა, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოსტის, საწერი და სხვა ქაღალდი, და **ნ. ნ. ბრაკერის** ქარხნისა, სადაც მზადდება სახვევი ქაღალდები და პარკები.

ვურჩევ რა შეიძინონ ზემო აღნიშნულ ქარხნების ქაღალდი, ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენ სავაჭრო სახლს, კეთილ ინებოს და დაგვიკვეთოს საქონელი. თვითეულ დაკვეთას ავასრულებთ ბეჯითად და კეთილ-სინიდისიერად.
გოლოვინის პროსპექტი, მანთაშევის სახლი. (10—9)

ახალი ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჰიქა არაყი და ერთი ჰიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.
(თვ.—6.—10) პატივის ცემით ვანო.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი აუწყებს თავად-აზნაურებს, რომ კვირას, 6 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება **საგანგებო კრება** გუბერნიის თავად-აზნაურებისა.

განსახილველი საგნები:

1. განაწილება ტფილისის სათავად-აზნაურო სიადგილ-მამულო ბანკის მოგებისა.
2. საკითხი თავად-აზნაურთა სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ფულის სესხების შესახებ; ეს ფული უნდა მოხმარდეს თავად-აზნაურთა საჭიროებებს;
3. საკითხი ვაჟთა გიმნაზიების დაარსების შესახებ გორისა და თელავის მაზრებში. (3—6.—2)

რესტორანი
„ფუნიკულერი“.
1 ს.—6 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.
სადილი 26 მაისისთვის
დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეული მ. მიშელის.
1. შჩი სკობელევ
2. სუპი სელესტინ პიროჟკებით.
3. ზუთხი რუსულად.
4. როსტბევ გარნირით.
5. მაროჟნი ნაღებით.
და 6. ყავა.
სადილი 27 მაისისთვის
1. ბორშჩი ფლოტსკი ქაშით.
2. სუფი ალარენი პიროჟკებით.
3. გალუბცი სოუს ტომატ.
4. ვარიები კლარე.
5. ანანასი გლასე.
და 6. ყავა.
მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა დილის 8 ს. ღამის 12 საათამდე.
5 საათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი ამ-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.
(0—19) პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

216 მანეთად წელიწადში ქირავდება სამი ოთახი ზემო სართულში წყლითა და ყოველის მოწყობილებით, დიდუბეში, ელისაბედისა და შერემეტიევის ქუჩაზე, სადაც რკინის გზის მაღაზიაა. (6—6.—3)

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ყველა მოსწავლე, რომელიც პირველ ივნისამდე არ შემოიტანს თხოვნას, მარიამობის თვეში გამოცდაზე შემდეგ კლასში გადასასვლელად ანუ დარჩენაზე იმავე კლასში მეორე წლით, ჩაითვლება სასწავლებლიდან გამორიცხულად და ყოველივე საბუთი ჩაბარდება პოლიციის საშუალებით.
(3—6.—1) დირექტორი ვ. ბაბანსკი.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ისანიშვილისა № 11.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306. 15)

ექიმი
ნ. ტ. მ უ ლ ი ნ ი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ № 26. (20—6.—1)

კბილის ექიმი
ე. ი. გალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—26)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
24 მაისი.

სიტიაზა, 23 მაისი. ღამის 11 საათი. 19—21 მაისამდის იაპონელებმა რამდენჯერმე შეავიწროვეს ჩვენი სადარაჯო რაზმები, განსაკუთრებით ტალუს მიდამოებში. როგორც სჩანს გამოლაშქრების წინ ადგილებს ზვერავენ.

გოძიადანი, 23 მაისი. დილის 10 საათი, 45 წუთი. აღმოსავლეთის ფრთაზე შეიძრნენ იაპონელთა მზვერავი რაზმები. 20 მაისს პრაპორშჩიკის ნეჟინცევის მზვერავმა რაზმმა გაჰფანტა იაპონელთა მზვერავი რაზმი, რომელმაც რუსის სადარაჯო რაზმის შემოვლა უნდოდა. რამდენიმე იაპონელი მოკლულია, ტყვედ წაყვანილია მსუბუქად დაჭრილი იაპონელი აფიცერი.

ტოკიო, 23 მაისი („რეიტერი“). სასეპოდან იუწყებიან, რომ ადმირალის როჟესტვენსკის ჯანმრთელობა გვარიანია, მაჯა და ტემპერატურა ნორმალური და ტვინი დაუზიანებელი აქვს. როჟესტვენსკის დაშავებული აქვს მარჯვენა გვერდი და ხელის გული. მარცხენა ფეხის ჰრილობას ბალღამი არ ატყვია.

შანხაი, 24 მაისი. გუშინ მოვიდა უნაგრის კუნძულებთან, ვუზუნიდან 60 მილის მანძილზე, იაპონიის ესკადრა—ერთი ჯავშნიანი გემი, ორი ჯავშნიანი და ორი მაშველი კრეისერი და რამდენიმე ნაღმოსანი გემი.

იოკოჰამა, 24 მაისი. სასებოდან დაბრუნებული ამერიკელი ქირურგი ბრაისტედი იუწყება, რომ რუსის ტყვეები საზღვაო საავადმყოფოში არიან და ისე უვლიან იმათ, როგორც იაპონელებს. როჟესტვენსკის ავადმყოფობა კარგად მიმდინარეობს. ადმირალი მალე მოიკეთებს.

ტოკიო, 24 მაისი („რეიტერი“). კრეისერი „ადმირალი ნახიმოვი“, „ვლადიმერ მონომახი“ და „დიმიტრი დონსკოი“ დაბალ წყალში ჩაიძირნენ და მათი ამოღება შეიძლება.

ვაშინგტონი, 24 მაისი. დღეს გერმანიის ელჩი გრაფ კასინისა და იაპონიის ელჩს ეთათბირა. ეტყობა, ყველანი საერთოდ ცდილობენ ზავის ჩამოგდებას.

პეტერბურგი. ოფიციალურად. მთავარი საზღვაო შტაბი აცხადებს, სასებოდან საავადმყოფო გემ „კოსტრომა“-ის კაპიტან სმელსკისაგან, რომ გემი „კოსტრომა“ ტყვედაა სასებოში და ყველანი, ვინც გემზე იმყოფებიან, კარგად არიანო.

შანხაი, 24 მაისი. იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი „საზანამი“ მოვიდა აქა და მდინარის შესართავში დადგა, იაპონიის საკონსულოს პირდაპირ.

პარიზი, 23 მაისი. დუმერმა განაცხადა პალატაში, დღესასწავლები ალფონსის მოკვლის განზრახვამ ჩაგვამწარა. პალატა თავის მხრივ გაკიცხვას უერთებს მთავრობის მიერ [illegible], რომელთაც თავიანთ ბოროტ-მოქმედების ასპარეზი საფრანგეთში გადმოაქვთ; შემდეგ მან განაცხადა, რომ ალფონსი ისეთივე კეთილ-მოსურნე წარმომადგენელია ესპანიისა, როგორც ლუბე საფრანგეთისა და დასძინა, რომ მეფემ მოგვანდო პალატისთვის მადლობის გადახდა. ხანგრძლივი ტაში გაისმის, უკიდურესი მარცხენა დრტვინავს. ნაციონალისტ აროლდებონს ფორმულა შეაქვს იმის შესახებ, რომ პალატა უერთდება პრეზიდენტის სიტყვებს. სოციალისტ სემბას წინადადება შეაქვს ადამიანის სიცოცხლის ხელ-უხლებლობის შესახებ და ამბობს, ალფონსის მკვლელის განზრახვას მისი უწყალო მართვა უდგას. ბევრ სკამებზე დრტვინვა გაისმის. რუვიე აცხადებს, მთავრობა არც ერთ ფორმულას არ იღებს, დუმერის მიერ მოწოდებულის გარდა. სხვა ფორმულები უკან დაიბრუნეს. ინციდენტი გათავდა.

პეტერბურგი, 23 მაისი. ოფიციალური. შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა, რომ ადგილობრივმა მთავრობამ განათავისუფლა კიდევ 672 კაცი. უმაღლესად შეწყნარებულ იქნენ ბერძენნი უნიატები, რომელთ 47 ოჯახი სედლეცის გუბერნიიდან ორენბურგისაში იყო გაგზავნილი; გაუქმებულ იქნა წესები კავკასიიდან სომხების მღვდლების ადმინისტრატიულ წესით გაგზავნის შესახებ მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის; გაუქმებულ იქნა 26 დეკემბრის და 19 მარტის უმაღლესი ბრძანებანი, რომლების ძალით კავკასიის უფროსს უფლება ჰქონდა გაეგზავნა იქიდან რუსეთის შიდა გუბერნიებში სომხების მღვდელნი და გაუქმებულია აგრეთვე 26 თებერვლის უმაღლეს ბრძანებაში გამოქვეყნებული ზომები სხვა და სხვა პირთა შესახებ.

პარიზი, 24 მაისი. დღეს დილით დელკასსემ თავი გაანება სამსახურს. გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას დროებით შეასრულებს მინისტრ-პრეზიდენტი.

ბათუმი, 24 მაისი. ციხიდან გაიქცა ორი კატორღა-გადაწყვეტილი ტუსაღი. ამ ამბავმა ისე იმოქმედა ციხის უფროს პივოვაროვზე, რომ მან თავი მოიკლა.

ვილნო, 24 მაისი. პოლიციის სამმართველოსთან ებრაელთა ბრბო დაეცა გოროდოვოის და ხლუნკის იარაღით 4 ადგილას დასჭრა იგი თავში. დამნაშავენი დაიჭირეს.

კოპენჰაგენი. 24 მაისი. „ნაციონალ-ტიდენდე“-ს ცნობით, ქრისტიანიაში მტკიცეთ არიან დარწმუნებული, რომ უცილობლადაა საჭირო უნიის გაუქმება. სტორტინგი მიიღებს გადაწყვეტილებას მეფის გადაყენების შესახებ. ნორვეგიელები ირწმუნებიან, მეფემ თვითონ გააუქმა დროებით თვისი უფლებები და თანამდებობანით სტორტინგს განზრახვა აქვს, კონსტიტუციის ძალით პასუხის საგები მართვა-გამგეობა იკისროს. ცნობას ნორვეგიის საერთაშორისო მდგომარეობის მოსალოდნელ ცვლილებების შესახებ უცხოეთში სპეციალურ ელჩების ხელით დაუგზავნიან; ეს ელჩები იმნაირსავე მისსიას აასრულებენ, რანაირიც შეასრულა ვაშინგტონში ამერიკის თავისუფალ შტატების სახელით და ტიერმა საფრანგეთის სახელით 1870 წ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
24 მაისი.

პარიზი, 24 მაისი. (საკუთ. კორესპ.). ამერიკის მთავრობამ უბრძანა კრეისერებს „ავრორა“-სა, „ოლეგ“-სა, და „ჟემჩუგ“-ს მანილა მიატოვეთ, ან იარაღი აიყარეთო. იაპონელები განაგრძობენ ამ კრეისერების ძებნას.

ვაშინგტონი, 23 მაისი. საზღვაო მინისტრმა დეპეშა გაუგზავნა ადმირალ ტრენს მანილაში, რომ რუსის გემები დაიჭიროს, იარაღი აჰყაროს და მოწყობილობა ჩამოაღებინოს.

ტოკიო. 21 მაისს დილით რუსის ქვეითა ჯარის რაზმმა, რიცხვით 300 კაცამდე, იერიში მიიტანა იაპონელებზე ერშილიპაოს ახლო, მაგრამ იაპონელებმა უკუ-აგდეს. იმავე დღეს 20 სოტნა ყაზახმა ტაინინჩანისაკენ გამოილაშქრა. ფინხუსიანისაკენ მიმავალ გზის ჩრდილოეთ-დასავლეთით. ამ რაზმის ნაწილმა იაპონელებზე იერიში მიიტანა შიცზუკუს ახლო, მაგრამ იაპონელებმა უკუ-აგდეს.

ლონდონი. საზღვაო მინისტრის თანაშემწემ გამოაცხადა: როგორც უნდა გათავდეს ომი, ვეიხაივეი მაინც ინგლისის უმთავრეს სადგურად დარჩება ჩინეთის წყლებში.

ბლაგოვეშჩენსკი. რადგან ხორბალი და სანოვაგე გამოილია, ადმინისტრაციამ ხორბლის სყიდვა აუკრძალა არყის ქარხნებს.

ნაგასაკი, 21 მაისი. მიიღეს თუ არა მოხსენება, რომ რუსის ზოგიერთი გემი გადარჩენილიყო, იაპონიის ორი გემი მაშინვე მტრის მოსაძებნად წავიდა; მეორე დილას უკან დაბრუნდა და ირწმუნებოდნენ, რუსის გემები ვერსად ვნახეთო. ჯავშნიან გემ „ორიოლ“-ის მეზღვაურები ირწმუნებიან, გემის ზარბაზნები, მაშინები და საჭეს აპარატი განადგურებული იყოო. მოკლულია გემის უთროსი, 2 შტაბ-აფიცერი და 16 უმცროსი აფიცერი და მატროსი; დაჭრილია 10 აფიცერი. 28 სანტიმეტრიანმა ყუმბარამ გემს ვატერლინიის ქვემოდ გვერდი გაუნგრია.—რუსის ლეიტენანტი, კრეისერ „ადმირალ ნახიმოვ“-ის აფიცერი, ამბობს: „როცა რუსის ესკადრა ცუსიმის სრუტეში შევიდა, ადმ. როჟესტვენსკიმ სიგნალი მისცა: „ეხლა მტრის ტერიტორიის წყლებში შევედით, ფრთხილად იყავით“. ცოტა ხნის შემდეგ ადმირალის გემმა სიგნალი მოგვცა: „მტრის ოთხი კრეისერი გვიახლოვდება, მზად იყავით“. ეს უკანასკნელი სიგნალი იყო. იაპონიის კონტრ-ნაღმოსნების რაზმი ჩვენის ესკადრის გვერდით მოდიოდა 14 მაისის საღამოს 8 საათიდან; ჩვენ რამდენიმე ასი ნაღმი გვესროლეს; კრეისერ „ადმირალ ნახიმოვ“-ს ოთხი ნაღმი მოჰხვდა. მეოთხე ნაღმი გემს ბოლოში მოჰხვდა და ბოლოც მოუღო. ჩვენ რამდენიმე უაითხედის ნაღმი გვქონდა, მ-გრამ შემთხვევა არ მოგვეცა ნაღმებით გვესარგებლა“.

მანილა, 23 მაისი. იუწყებიან, იაპონიის 7 კონტრ-ნაღმოსანი რუსის კრეისერებს კორეჟიდორის კუნძულების ახლო ჰდარაჯობენო. რუსის 3 კრეისერზე დროებით ჩამოიღეს ზარბაზნების უკანა ნაწილები.

შანხაი, 22 მაისი. გუცლავში მოსული ადმირალ ურიუს ესკადრა რუსებს კორეის სრუტიდან სამხრეთისაკენ მისდევდა ფორმოზას გარშემო. ადმირალის გემს „ტოკივა“-ს გვერდი აქვს გახვრეტილი ყუმბარისაგან, მაგრამ ყუმბარა არ აფეთქებულა, რის გამოც გემი უმნიშვნელოდ დაზიანებულა. კონტრ-ნაღმოსნები ხვალ ვუზუნში შევლენ, კრეისერები-კი პორტს გარედ დარჩებიან.

პეტერბურგი, ოფიციალური. უმთავრესი საზღვაო შტაბის ცნობა: „ვლადივოსტოკის ნავთსადგურის უფროსის ცნობათა თანახმად, უმთავრესი საზღვაო შტაბი იუწყება, რომ ვლადივოსტოკს მოსულ კრეისერ „ალმაზზე“ და ნაღმიან გემებზე „ბრავიზე“ და „გროზნიზე“ 14 მაისს ბრძოლის დროს იყვნენ შემდეგი აფიცრები: „ალმაზზე“ ამ გემის უფროსი, მეორე ხარისხის კაპიტანი ალექსეი დაიჩკოვი, I რევიზორი მიჩმანი სერგეი სობოლევსკი, მენაღმე აფიცერი ვასილ გრიგორიევი მე-III, არტილერი პავლე მაჩალინი, შტურმანის აფიცერი ნიკოლაი გრიგორიევი; ვახტის უფროსები ნიკოლოზ ბეხლი და ნიკოლოზ საბლინი; ვახტის აფიცერი გიორგი გილდებრანდი, მიჩმანი მიხეილ პოგენპოლი, პრაპორშჩიკი თ-დი ალექსეი ჩეგოდაევი, სოკონსკი, უფროსი მექანიკოსი პოდპორუჩიკი ტომას ნეიმანი, მეორე მექანიკოსი პორუჩიკი ნიკოლოზ ჩისტიაკოვი, ვასილი ბეკეშოვი, ექიმი ვიქტორ ბულატოვი, შკიპერი კაპიტანი პავლე იავორსკი. მათ შორის მოკლულია ლეიტენანტი პავლე მოჩალინი. ნაღმიან გემზე „ბრავიზე“ იყვნენ: უფროსი—მეორე ხარისხის კაპიტანი პავლე დურნოვო, ვახტის უფროსი ლეიტენანტი კონსტანტინე ფონ-ნერინგი, მიჩმანი ვსევოლოდ ბურნაჩეკ მე-4, მენაღმე აფიცერი ლეიტენანტი ნიკოლოზ ტრეტიაკოვი, გემის მექანიკოსი პორუჩიკი სერგეი ბერენევი. ნაღმიან გემზე „გროზნიზე“ იყვნენ: უფროსი—მეორე ხარისხის კაპიტანი კონსტანტინე ანდრჟეევსკი, ვახტის უფროსი მიჩმანი საფონოვი, მეორე ვახტის უფროსი მიჩმანი პეტრე დოფელდი, მენაღმე აფიცერი ლეიტენანტი სერგეი კოპტევი I, გემის მექანიკოსი შტაბს კაპიტანი ნიკოლოზ სნო. მათ შორის დაჭრილია მეორე ხარისხის კაპიტანი კონსტანტინე ანდრჟეევსკი და მოკლულია მიჩმანი პეტრე დოფელდი.

23 მაისს, № 212-ით, ადმირალ ნიდერმილერის სახელობაზე შანხაიდან გამოგზავნილ, კონტრ-ადმირალ რეიცენშტეინის საიდუმლო დეპეშის პირი: „დამატება № 201. ნაღმოსან „ბოდრი“-ზე არიან: მეორე რანგის კაპიტანი პეტრე ივანოვი მესამე, ლეიტენანტი კრილოვი, მიჩმანი ნიკოლაი დავიდოვი, დიმიტრი პოგოჟევი, მექანიკი იაცუკი; 69 მატროსი იყო, ამათგან 1 მოკლულია და 6 დაჭრილი. ნაღმოსან „ბლესტიაშჩი“-ზე: უფროსი მეორე რანგის კაპიტანი შიმოვი და 3 მატროსი მოკლულია. „ბოდრი“-მ „ბლესტიაშჩი“-დან 75 მატროსი გადმოიყვანა; ამათგან 10 დაჭრილია, რომელთაგან 2 ჭრილობისაგან გარდაიცვალა; 8 კაცი „ოსლიაბია“-დან გადმოიყვანა და ერთი დაჭირავებული მესაჭე „რუს“-იდან. რეიცენშტეინი“.

ტოკიო, 24 მაისი. კუნძულ გატოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნაგასაკის ახლო 20 მცურავი ნაღმი დაუნახავთ. ეს ნაღმები, ალბად, კრეისერ „დმიტრი დონსკოი“-ს ეკუთვნის.

ნიუ-იორკი. იუწყებიან, ადმირალი ენკვისტი ამნაირად ასწერს ბრძოლასაო. „რუსის გემები კორეის სრუტეში სამ რაზმად შევიდნენ: მარცხენა მხარეს ჯავშნიანი გემები მიდიოდნენ, მარჯვენა მხარეს—კრეისერები და შუაში სატრანსპორტო გემები. ჯანყი იდგა. გემები უმავთულო ტელეგრაფს სცდიდნენ. უცებ ჯავშნიან გემების მარცხნივ იაპონიის ფლოტი გაჩნდა, ჯოჯოხეთური სრიალა აუტეხა რუსის ორს წინა გემს, დააზიანა და უცებ გაქრა. ესეთივე მანევრი კიდევ ერთხელ გაიმეორეს. ამის შემდეგ იაპონელებმა კრეისერებზე მიიტანეს იერიში და ნიპონისაკენ განდევნესო“. იუწყებიან, ადმირალი ენკვისტი საშინლად შერყეულია და მთელი საათები ზის ჩუმად ღრმად დაფიქრებულიო.

ვლადივოსტოკი, 23 მაისი. (საკ. კორ.) აქ მოსულ გემების „ალმაზ“, „გროზნი“ და „ბრავი“-ს მეზღვაურები ასე აგვიწერენ 14 და 15 მაისის საზღვაო ბრძოლას: 14 მაისს, დილის 11 საათზე, მთელი ჩვენი ესკადრა უახლოვდებოდა კუნძულ ცუსიმას აღმოსავლეთ სრუტეს; მარცხენა მხარეზე ერთმანეთს მისდევდნენ ჯავშნიანი გემები, დაყოფილი სამ რაზმად; პირველ რაზმს შეადგენდნენ: „კნ. სუვოროვ“, „ალექსანდრე III“ და „ორიოლ;“ მეორეს—„ოსლიაბია“, „სისოი ველიკი“, „ნავარინ“ და „ნახიმოვ“; მესამეს—„ნიკოლაი I“, აპრაქსინ“, „სინიავინ“ და „უშაკოვ“; შემდეგ ჯავშნიანი კრეისერები „ოლეგ“, „ავრორა“ და „დმიტრი დონსკოი“; მარჯვნივ მიდიოდნენ ტრანსპორტები და უფრო მარჯვნივ მზვერავ რაზმის გემები „სვეტლანა“, „ალმაზ“, „ურალ“ და „ვლადიმირ მონომახ“, რომელთაც უკან კონტრ-ნაღმიანი გემები მიჰყვებოდნენ; ჯავშნიან გემების პირველ რაზმს მარცხნით „ჟემჩუგ“ მიჰყვებოდა, და მარჯვნით—„იზუმრუდ“; თითოეულს ამათგანს თითო კონტრ-ნაღმიანიც ახლდა, ამ დროს უკანიდან, მარცხნით, გამოჩნდა იაპონიის მზვერავ გემების რაზმი, რომელიც ოთხ კრეისერისაგან შესდგებოდა; ესენი მიუახლოვდნენ ჩვენს გემებს. 11 საათი იქნებოდა, როცა ჩვენმა ესკადრამ ზარბაზნები დაუშინა იაპონიის ამ მზვერავ გემებს,

რომელნიც მალე მიიმალნენ. ამ დროს ქარი ჰქროდა, ზღვა ღელავდა და ნისლი იდგა. 12 საათსა და 30 წუთს ჩვენის ესკადრის ჯავშნიან გემების პირველი რაზმი მარჯვნით მიტრიალდა. ნაშუადღევის 1-ლ საათზე მარცხენა მხარეზე გამოჩნდა იაპონიის ესკადრა, რის გამო ჩვენი ჯავშნიანი გემები ისევ მარცხნით მიბრუნდნენ. ამ დროს „სუვოროვ“-ზე აღმართეს ნიშანი: „სატრანსპორტო გემებმა და კრეისერებმა მარჯვნით იარეთ“. იაპონიის ესკადრამ მაშინვე სროლა ასტეხა. იმათი ესკადრა ასე მოდიოდა: მარცხნით იყვნენ ჯავშნიანი გემები და ჯავშნიანი კრეისერები, მარჯვნით ხუთი კრეისერი, რომელთაც იერიში მოიტანეს ჩვენს ტრანსპორტებსა, კრეისერებსა და ნაღმიან გემებზე და აიძულეს მარცხნით დაწეულიყვნენ. სროლა საშინელი იყო. ყუმბარებით მოიფინა გემები. „ოსლიაბია“ ჩაიძირა. „სუვოროვ“-ზე ცეცხლი გაჩნდა და ძალიან დაზიანდა; პატარა ხანს უკან გემი გაჩერდა. ამ დროს „ურალ“-იდან ნავები ჩაუშვეს ზღვაში, რისგამო მასთან ტრანსპორტები მივიდნენ ხალხის გადასარჩენად. ჩვენი ესკადრა გარს შემოეხვია ამ ტრანსპორტებსა და გემს. ამ დროს „კამჩატკა“-ს სამი ნაღმი მოხვდა და გემი ჩაიძირა. „სისოი ველიკი“-ზე ცეცხლი გაჩნდა. იაპონელებმა ისარგებლეს ჩვენის გემების არევ-დარევით და ყუმბარების სროლა გააძლიერეს. ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ესკადრა საათნახევარი. მზის ჩასვლისას გემები „ბოროდინო“, „ორიოლ“, „ნიკოლაი I“, რომლებზედაც სამი ადმირალი იყო, „ნავარინ“, „სისოი“ და „ვლადიმირ მონომახ“ ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ; „ალექსანდრ III, რომელიც, დაზიანების გამო, ჯერ ჩამოშორდა იმათ, მერე დაეწია; მარცხნივ მისდევდნენ ყველა ჩვენი კრეისერები, „ურალ“-ის, გარდა და ტრანსპორტები, „კამჩატკა“-ს გარდა და ბოლოს ნაღმიანი გემები. იაპონიის ესკადრა,—მარჯვნით ჯავშნიანი გემები და კრეისერები, მარცხნით—კრეისერები—თან გაჰყვნენ ჩვენს ესკადრას. ამ დროს „ბუინი“ ჩამოშორდა ჩვენს გემებს და ანიშნა, რომ ადმირალმა სარდლობა ნებოგატოვს გადასცაო. ამავე დროს „იმპერატორი ალექსანდრე III“, რომელსაც იაპონელები ყოველ მხრიდან უშენდნენ ზარბაზნებს, ჩაიძირა. იაპონიის ჯავშნიანი გემები დაუპირდაპირდნენ ჩვენს მოწინავე ჯავშნიან გემებს და დაუშინეს ზარბაზნები. ჩვენს წინ გამოჩნდა მრავალი იაპონელი ნაღმიანი გემი. „ბოროდინო“ ორ წუთში ჩაიძირა, ისე რომ ვერც გავიგეთ რა მიზეზისაგან. ამის შემდეგ ყველა ჩვენი გემები სამხრეთისაკენ მიბრუნდნენ; წინ კრეისერები მიდიოდნენ. დაღამდა. ბრძოლას თვალ-ყურს ველარ ვადევნებთ. უკანიდან ისმოდა პატარა ზარბაზნების სროლა. ცხადი იყო, ნაღმიანის გემების იერიში დაიწყო. ზარბაზნების სროლა მთელ ღამეს არ შეჩუმებულა. დღის ბრძოლის დროს ჩვენ გემებს შორის ბევრი იალქნიანი ნავი დასრიალებდა; ესენი, ალბად, ნაღმებს ისროდნენ. „ურალ“-იდან „გროზნი“-ზე გადასხეს უფროსი მეხანიკოსი სპერანსკი, ლეიტენანტი ჩოგლოკოვი და რვა მეზღვაური, დანარჩენები სხვა გემებმა გადაარჩინეს. „ოსლიაბია“-დან „ბრავი“-ზე გადასხეს ლეიტენანტები საბლინი და კოლოკოლცევი, მიჩმანები—ბაზმანოვი და ბორის ივანოვი და 167 მატროსი. ნებოგატოვის შესახებ გავრცელებული ამბები არ მართლდება. ესკადრაზე სრული დისციპლინა ჰსუფევდა. ბრძოლის მეორე ნახევრის ისტორიის გამგები არავინ არის.

პარიზი, 24 მაისი. პარიზში მღელვარება იწყება ინდოეთ-ჩინეთის დაცვის შესახებ.

ვაშინგტონი, 24 მაისი. იაპონიის ელჩმა კმაყოფილება განაცხადა შეერთებულ შტატების მოქმედებაზე მანილაში მისულ რუსების შესახებ.

ლონდონი, 24 მაისი. დღეს სამართლის წინაშე წარსდგნენ ჰენრი ბრეილსფორდი და არტურ მაკ-კულოკი, რომელთაც ბრალს სდებენ, პეტერბურგში ბომბისაგან მოკლულ რუსს ყალბი პასპორტი გაუკეთესო. წაკითხულ იქნა მაკ-კულოკის წერილი, რომელშიაც ის გატეხით ამბობს, მე ვიშოვნე პასპორტიო. ბრეილსფორდმა განაცხადა: რუსის ერთმა რევოლიუციონერმა მთხოვა პასპორტი მიშოვნეო; მე სიტყვა მივეც, გიშოვნი პასპორტს, თუ საქმე მშვიდობიან პროპაგანდას ეხება მეთქი. მაკ-კულოკმა განაცხადა, არასოდეს არ მოვაწერდი ხელს პასპორტს, რომ მცოდნოდა, რომ პეტერბურგში აფეთქებისათვის ემზადებოდნენ. მე წავედი და ვუამბე ბრეილსფორდს რაც მოხდა და განვუცხადე, რომ მომატყუილეს-მეთქი. საქმე ჯერ არ გათავებულა.

ბერლინი, 23 მაისი. „ბერლ.-ტაგებლატ“-ი იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ ძლიერ გამწვავდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის უთანხმოება ამ უკანასკნელ დღეებში და უკიდურეს ხასიათის მიღებას იმუქრება. ეს რომ ესეა, იმისაგან სჩანს, რომ ვილჰელმმა არ გაუგზავნა დეპეშა ლუბეს ალფონსის მოკვლის განზრახვის შესახებ, მაშინ როდესაც ესპანიის მეფეს აცნობა ტელეგრაფით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ისეთი ნიშნები, რაც გვიჩვენებს, რომ კრიზისი ახლო მომავალში გადაწყდება მშვიდობიანის გზით.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის დაღუპულ და ტყვედ წაყვანილ გემების ფასი. „ნაშა ჟიზნ“-ი რუსის ფლოტის ზარალს ანგარიშობს.

დაღუპული გემები:	მან.
ბოროდინო	11,500,000
იმპერატორ ალექსანდრ III	11,500,000
კნიაზ სუვოროვ	11,500,000
ოსლიაბია	10,007,000
ნავარინ	7,409,000
სისოი ველიკი	6,747,000
ადმირალ ნახიმოვ	6,103,000
დმიტრი დონსკოი	4,564,000
ვლადიმირ მონომახ	3,459,000
იზუმრუდ	3,720,000
ადმირალ უშაკოვ	3,296,000
სვეტლანა	2,787,000
კამჩატკა	2,500,000
ირტიშ	2,000,000
ურალ	2,000,000
4 კონტრ-ნაღმოსანი თითო 494 ათასი მანათი	1,976,000
დატყვევებული გემები:	
ორიოლ	11,500,000
ნიკოლაი I	7,525,000
ადმირალ სენიავინ	3,504,000
გენ.-ადმ. აპრაქსინ	3,463,000
ბედოვი	494,000
სულ	117,554,000

აქ ნაანგარიშები არაა რამდენისამე დაღუპულ და დატყვევებულ გემის ფასი; ნაანგარიშები არაა აგრეთვე, რა დაჯდა გემების შეიარაღება და კრონშტადტიდან შორეულ აღმოსავლეთს მისვლა.

„სლოვო“-ს ანგარიშით, ჩაძირული „ბოროდინო“, „იმპ. ალექსანდრ III“, „კნიაზ სუვოროვ“-ი და დატყვევებული „ორიოლ“-ი მეტი ღირდნენ: თითო 12,500,000 მანეთი ჰღირდა; ამნაირად ზოგი სხვა გემიც მეტი ღირდაო.

„რაზსვეტ“-ში ბ. როსლავლევი ანგარიშობს, კორეის სრუტეში დაღუპული და დატყვევებული რუსის გემები ნახევარ მილიარდი (ხუთასი მილიონი) მანეთი ჰღირდაო.

ადმირალი ტოგო. რუსის ფლოტის გამანადგურებელი ადმ. ტოგო ძლიერ განათლებული კაცია. პირველად თავის სამშობლო ქალ. კაგოშიმაში მეზღვაურთა სკოლაში სწავლობდა. 1868 წელს, როცა იაპონიაში დიდი რევოლიუცია მოხდა, ახალგაზდა ტოგომ თავი გაანება სწავლას, იაპონელ რევოლიუციონერებს მიემხრო და ახალ წესწყობილებისათვის იბრძოდა. რევოლიუციის შემდეგ ისევ საზღვაო სამსახურში შევიდა, 1872 წელს ინგლისში წავიდა და იქ გრინვიჩის განთქმულ საზღვაო სკოლაში შევიდა. 1878 წელს სამშობლოში დაბრუნდა და მას აქეთ სულ ფლოტში მსახურებს. ჩინეთთან ომის დროს კრეისერ „ნანივა“-ს (ეხლაცაა ეს კრეისერი) კაპიტნად იყო და მაშინვე დიდი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა და თავი ისახელა. იაპონელებს ჯარი უნდა გადაეყვანათ ვეიხაივეისთან და კაპიტან ტოგოს დახმარება უნდა გაეწია ხმელეთის ჯარისათვის. გამქრიახე, მამაცმა, თითქმის თავზე ხელ-აღებულმა კაპიტანმა ისეთი საქმე გაბედა, რომ მთელი იაპონია გააკვირვა. ტოგოს, სხვათა შორის, ორი სწრაფლ-მავალი გემი ებარა: „შოკოი“ და „ტოგო“. ბნელა ღამეს ამ გემებით ტოგო ვეიხაივეის შიდა რეიდში შეიპარა, იქ თავშეფარებულ ჩინელების ფლოტს ყუმბარა დაუშინა და ისე გამოიპარა, რომ ჩინელებმა ვერც-კი შენიშნეს. ჩინელებმა იფიქრეს, ალბად, იაპონიის მთელი ესკადრა დაგვეცაო და გარედ გამოსვლა ველარ გაბედეს. ამ დროს იაპონიის ქვეითა ჯარი ხმელეთზე გადავიდა და ვეიხაივეის ალყა შემოარტყა. მას აქეთ ტოგო ძლიერ შეუყვარდა იაპონელებს. ომის შემდეგ ტოგო საადმირალოს წევრად დაინიშნა, მალე კიდევ დაწინაურდა და ამ 5 წლის წინად დასავლეთ ესკადრის უფროსად დაინიშნა. 1885 წელს ტოგომ ადმ. იტოსთან ერთად იაპონიის ფლოტის რეორგანიზაციის პლანი შეადგინა, მერე ახალ ჯავშნიან გემებისა და კრეისერების აშენებას ხელმძღვანელობას უწევდა და იაპონიის ფლოტს დიდის ბეჯითობით ამზადებდა საომრად. ომის დაწყების დროს ტოგო მებრძოლ ფლოტის უფროსად დაინიშნა. ომამდე ვიცე-ადმირალის ჩინი ჰქონდა, და შარშან მაისში სრული ადმირალობა მიიღო. ამ ომის დროს ტოგომ თავის გენიალურ მოქმედებით მთელი ქვეყნიერობა გააკვირვა. და თავისი სახელი საუკუნოდ უკვდავ ჰყო. ამ ჟამად იაპონელი ადმირალი 57 წლისაა. („ზ. ვ.“).

უკანასკნელ ბრძოლის გამო *)

სამი დიდი ბრძოლა ხმელეთზე და ორიც ზღვაზე, მგონი, საკმარისი უნდა იყოს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების დასაფასებლად. სამხედრო ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ რომელსამე ომიანობაში ამდენჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს მებრძოლნი მთელის თავისის ძალ-ღონით. ნაპოლეონ პირველთან გამართულ ომიანობაში ერთი დიდი ბრძოლა იყო, რუს-ოსმალეთის ომიანობაში არც ერთი. იქაც და აქაც გავიმარჯვეთ, მაგრამ ამ გამარჯვებაში ჩვენ სამხედრო ძალას მთავარი მნიშვნელობა არ ჰქონებია. სამაგიეროდ ჩვენი დამარცხება შორე-აღმოსავლეთის ომიანობაში პირდაპირი შედეგია ჩვენის სამხედრო უძლურებისა. ვინც ამას არ ამბობს, შეგნებულად სტყუის. სულ სხვა საქმეა, თუ საიდან წარმოსდგა ეს უძლურება. ამას ხალხი და ისტორია გამოიძიებს.

მწვავე და მოლოდებელია ის ფაქტი, რომ მრავალ-საუკუნის, თითქმის მსოფლიო ბატონობის, შემდეგ ას ორმოც მილიონიან რუსეთის სამხედრო ძალა ძირს დასცა ახლად ფეხ-ადგმულ ორმოც მილიონიან იაპონიის სამხედრო ძალამ; ეს ფაქტი გვიწვევს ლოღიკურად, დამშვიდებულის გონებით განვიხილოთ იგი; გვაძლევს კითხვას, რომელსაც ყოველმა რუსმა უნდა გასცეს პასუხი მაღლა, საჯაროდ...

ეხლა ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკი მეტია. ზავს უკვე ხელი მოაწერა როჟესტვენსკიმ ცუსიმას კუნძულთან. სწორედ ამისათვის წავიდა იგი იქითკენ. უბედურება რომ იაპონიას სწვევოდა, ომი მაშინაც გათავებული იქნებოდა. მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ ამ ორის ფლოტის შეტაკებისაგან იყო დამოკიდებული ომის ეს თუ ის დასასრული. ომი გათავდა; შეიძლება კიდევ გაგრძელდეს მისი აგონია; დიპლომატებიც ივაჭრებენ ერთმანეთ შორის; ერთხელ კიდევ შეგვატყობინებს ჩვენი მთავარსარდალი ორის ტყვიის მტყორცნელის ალებას; შესაძლებელია, ერთი დიდი შეტაკება კიდევ მოხდეს ხმელეთზე. მაგრამ ყველა ეს ინერციაა, უკანასკნელი, მაჩინჯი კრუნჩხვაა უკვე დასრულებულ უზარმაზარ ეპოპეისა. დრამა გათავდა, ფარდა ჩამოშვებულია... და თუ რა უნდა მოხდეს შემდეგში, ეხლავე უნდა გავითვალისწინოთ.

ეს კითხვა არ არის დაკავშირებული ზავის ამა თუ იმ პირობებთან. შორე-აღმოსავლეთის ოლქების დაკარგვა, მოსალოდნელი კონტრიბუცია, პოლიტიკურ კომბინაციების შეცვლა ევროპაში, ყველა ეს უკვე განაღდებულია. ყველა ის დამცირება, რომელიც უნდა გამოსცადოს დამარცხებულმა და რომელიც იმდენად უფრო საშინელია, რამდენად მეტი იყო გამარჯვების იმედი, ჩვენ უკვე გავიარეთ...

ვთქვათ, შინაურ რეფორმებით, „განახლებული რუსეთი გადაიტანს ამ კრიზისს, აპატიებს იმათ, ვინც ჯვარს აცვა იგი, და დაიწყებს ახალ თავისუფალ მოქალაქობრივ ცხოვრებას. მაგრამ მაინც იბადება კითხვა — რა იქნება დამარცხებული რუსეთი სხვა სახელმწიფოთა შორის, რა მიზანი ექნება მის პოლიტიკურ არსებობას, როგორც დიდ (გეოგრაფიულად) და მრავალ მილიონიან ხალხისას? ეს კითხვა სრულიად არ არის უქმი კითხვა. ყოველ დიდ შეტაკებას მოსდევს არა მარტო პოლიტიკურ პოზიციის შეცვლა, არამედ ეთიური და ეკონომიურიც. საფრანგეთის სამხედრო ძლიერებამ და საფრანგეთის სამხედრო დამარცხებამ შექმნეს ორი საფრანგეთი. რამდენად პირველი საფრანგეთი პოლიტიკურ როლს თამაშობდა, იმდენად მეორე კულტურულსა და ეკონომიურ როლს ასრულებს... გამარჯვებაცა და დამარცხებაც ერთნაირად სცვლის სახელმწიფო არსებობის დანიშნულებას. რუსეთისათვის ამ აქსიომას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მთელი მისი ისტორია გამარჯვების წყებაა, რომელიც აქა-იქ წვრილმან დამარცხებით ირღვეოდა, და რომ აქამდე, გარდა ამ შეიარაღებულ ძალით გამარჯვებისა, საკმაოდ არ გამორკვეულა სხვა მიზანი რუსეთის არსებობისა სხვა როლი დანარჩენ ხალხებ შორის. რაც გინდათ, ისა სთქვით რუსეთის კულტურულ მისიაზე აღმოსავლეთში, მის დედობრივ მეთაურობაზე სლავებ შორის, მის საგანგებო დანიშნულებაზე—ევროპა აზიას უნდა შეურიგოსო—ყველა ეს ლამაზი ფრაზები სრულიად არ შეეფერებიან სინამდვილეს: სარწმუნო ფაქტები მხოლოდ იმას გვეუბნებიან, რომ რუსეთი სამხედრო ძალით იპყრობდა ქვეყნებს. მთელის ქვეყნისათვის რუსეთი მხოლოდ სამხედრო სახელმწიფოა, სამხედრო ძალით შექმნილი. რაღა უნდა მოჰყვეს დამარცხებას?.. რა უნდა ჰქნას ხმის დამკარგველმა მომღერალმა და თვალის სინათლეს მოკლებულმა მხატვარმა?

---

*) იხ. „რაზსვეტ“-ი, № 73. წერ. როსლავლევისა.

ფელეტონი

ინგლისი

არჩევნები, ქალების როლი არჩევნებში და ახალშენთა ავტონომია.

ბერნსის მხარეს იყო მისი შეურყეველი, ენერგიული პატიოსნება, შრომის ინტერესებზე და პროგრესის საქმეებზე გადაგება, საპატიო თანამდებობებზე ხანგრძლივი სამსახური და შეუდარებელი ნიჭი. გარტონი, სანაცვლოდ, უთვალავად და ხარბად აპნევდა ფულს და პატრიოტობდა, რადგან ბერნსი ტრანსვაალის ომის წინააღმდეგი იყო. შეძლებული კლასები და თითონ მთავრობაც, რომელიც ბერნსში შეურიგებელ მტერსა და ოპონენტს ჰხედავდა, ყველა ესენი, რასაკვირველია, გარტონის მხარეს იყვნენ. ოპოზიციის წევრებიდან მხოლოდ ერთმა ბერნსმა გაჰბედა და ომისა და, საზოგადოდ, ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარად დაიწყო აგიტაცია. ყოველ კვირა დღეს ბერნსი ყრილობებსა ჰხსნავდა, რომლებზედაც ათასობით ესწრებოდნენ მუშები და ჯინგოიზმის და, საზოგადოდ, რეაქციონურ პოლიტიკის საწინააღმდეგო სიტყვებს მოწიწებით ისმენდნენ. ტრანსვაალის ომმა მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებაზე და რადიკალურად შესცვალა მისი აზრი და შეხედულება. ვინც დასაწყისში ომის წინააღმდეგი იყო, შემდეგ, როდესაც პატარა ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკებმა საშუალოდ შეარცხვინეს დიდი ბრიტანია, რადიკალურად შესცვალა თავიანთი აზრი. პატრიოტულმა გრძნობამ და თავმოყვარეობამ იქამდის გაიტაცა ინგლისის საზოგადოება, რომ, როდესაც ოპოზიციის გუშინდელი წევრები მთავრობის ბანაკში გადავიდნენ, ამომრჩევლები არა თუ არ უწუნებდნენ ამგვარ საქციელს, პირიქით, სამადლობელ ადრესსაც კი უგზავნიდნენ. ერთი ამისთანა მაგალითი წინა წერილში მოვიყვანეთ. საზოგადო გატაცებისა და აღფრთოვანების დროს ომის წინააღმდეგ გალაშქრებით ბერნსი თავის პირდაპირობასა და დიდ გამბედაობას ამტკიცებდა. ჯინგოიზმის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვები ათასობით და ათი ათასობით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ხალხში. მთავრობამ სამხედრო მინისტრის ამხანაგი, ცნობილი ორატორი ჯარჯ უინდგემი გაუგზავნა გარტონს დასახმარებლად. ეს ბრძოლა მით უფრო გამეტებული და საინტერესო იყო, რომ წინა არჩევნებზე ბერნსმა მხოლოდ 253 ხმით მიიღო მეტი და, მამასადამე, გარტონის გამარჯვება შეუძლებელი არ იყო ამ ჟამად. ორივე მხარე საბრძოლველად თითქმის თანასწორ ღონით იყო გამოსული და, მამასადამე, ორივესთვის დიდი სიფრთხილე და ენერგია იყო საჭირო.

ინგლისის არჩევნები ოთხ აქტს შეიცავს: რეგისტრაციას, კანვასაციას, აგიტაციას და თვით კენჭის ყრას. ყოველ ამ აქტის შესასრულებლად კანდიდატს გამოცდილი და დახელოვნებული თანაშემწეები ესაჭიროება, რომელთაც დიდი შრომა და კაი ძალი ფული უნდა დახარჯონ. რეგისტრაცია, ანუ ამომრჩევლების ჩაწერა სიაში, დაინტერესებულ პირის თანადასწრებით და იმის თხოვნითა ხდება. საქმე ის არის, რომ ყოველ ქვეყანაში და ყოველ ხალხში ბევრი ისეთი კაცი მოიპოვება, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება თუმცა აქვს, მაგრამ ზარმაცობითა თუ სხვა მიზეზით თავს მაინც არ იცხლებს და არცკი ეწერება ამომრჩეველთა სიაში. პირიქით, ისეთნიც ბევრნი მოიპოვებიან ხოლმე, რომელთაც ეს უფლება არა აქვთ მინიჭებული, მაგრამ სიაში ჩარიცხვის სურვილს კი აცხადებენ. ყველა ამათ თვალის დევნა და დიდი გულისყური უნდა და აგი რეგისტრაციას ორივე კანდიდატის აგენტები უშვრებიან კონტროლს. ყოველი კანდიდატი, რასაკვირველია, დაინტერესებულია, რომ მისი მომხრე—ამომრჩეველი უსათუოდ იყოს სიაში შეტანილი, რადგან ვინც სიაში არ არის ჩარიცხული, კენჭის ყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მეორეს მხრივ, რაც უფრო ნაკლები მომხრე ეყოლება მოწინააღმდეგეს, მით უფრო კარგი იქნება ყოველი კანდიდატისთვის. ამ ორ მიზანს კანდიდატები იმითი მიაღწევენ ხოლმე, რომ აგენტებისა და მომხრეების დახმარებით ჰკრებენ ამომრჩევლების შესახებ ყოველგვარ საჭირო და გამოსადეგ ცნობებს, სცდილობენ, რომ იმათმა მომხრეებმა ყველამ ისარგებლონ თავიანთ უფლებით და მოწინააღმდეგის ბანაკიდან კი გააძეონ ყველა, ვისაც კანონიერ მიზეზით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს. თუ რომელსამე მომხრე-ამომრჩეველს ბინა გამოუცვლია, უნდა მოსძებნონ იმისი ახალი ბინა, დააჯერონ, რომ არჩევნებში უსათუოდ უნდა მიიღოს მონაწილეობა და შორს თუ სდგას თავის ხარჯით წაიყვანონ თუ სადმე საჭირო იქნება მისი ყოფნა. კანონი თუმცა სასტიკად უკრძალავს ყველა კანდიდატს ამომრჩევლის თავის ხარჯზე მიყვანას, მაგრამ ვინ აუკრძალავს, მაგალითად, კანდიდატის მეგობარს, რომ შეიაროს ამომრჩეველთან და თავის ხარჯზე წამოიყვანოს?

უფრო ძნელია არჩევნების მეორე აქტი-კანვასსაცია, ე. ი. ამომრჩევლების გადმობირება. კანდიდატი საარჩევნო ოლქს ცირკულიარს ანუ მანიფესტს უგზავნის, რომლითაც თავის პოლიტიკურ პროგრამას და შეხედულებას აუწყებს ყველას და მოწინააღმდეგის პროგრამას კრიტიკას უშვრება. მანიფესტის გამოცემის შემდეგ კანდიდატის მომხრე-აგენტები სახლებში მიდიან და ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ თუ ოჯახის მამა არ დახვდათ, შინა, დიასახლისი მაინც გადმოიბირონ. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მისი მოწინააღმდეგეც სწორედ ამასვე სჩადის...

კანვასსაცია ძალიან ძნელი საქმეა, რომელსაც დიდი ხერხი და ცოდნა სჭირია. ამ ბოლო დროს ინგლისელი ქალები კანვასსაციაში დიდ მონაწილეობას იღებენ. უსაქმური და შეძლებული ქალები განუწყვეტლივ დარბიან სასახლეებში თუ ქარხნებში, შედიან ქოხებში, არიგებენ ბროშურებსა და პროკლამაციებს და სხვა. ქალების კონვასსაცია, მით უფრო ძვირფასია, რომ ქალები ამ საქმეს მარტო აგიტაციის დროს არ მისდევენ. ჯერ არჩევნების ხსენებაც არ არის ხოლმე, რომ მოცლილი და კანვასსაციით გატაცებული ქალები წინდაწინვე ამზადებენ ხოლმე ნიადაგს.

კონსერვატიული პარტია პირველი მიხვდა, რა მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა ქალების ამგვარ მოღვაწეობას და 1883 წელს, ბიკონსფილდის სიკვდილის შემდეგ, ლონდონში იმის სახელის კლუბი დაარსდა, რომელსაც კონსტიტუციის, სარწმუნოების და იმპერიის დაცვა ჰქონდა მიზნად და რომელმაც ქალებიც მიიწვია თავის წევრებად. ამ გვარად პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოღვაწეობაში ქალები მამაკაცების თანასწორ წევრებად იქმნენ აღიარებულნი. 1885 წელს მათი მოღვაწეობა იქამდის ნაყოფიერი და სასარგებლო იყო, რომ სოლსბერიმა და ბალფურმა ქალებს საჯაროდ გამოუცხადეს მადლობა. ეს კლუბი ამ ჟამად გაფართოვდა, გახსნა მრავალი განყოფილება სხვა და სხვა ქალაქებში და მილიონზე მეტი წევრი ჰყავს. კონსერვატორების ლიდერები ამ კლუბს ძლიერ აფასებენ და კლუბის წლიურ სხდომებზე პირველ პოლიტიკურ სიტყვას პირველი მინისტრი ამბობს ხოლმე.

საკვირველია, არც ლიბერალები ჩამორჩნენ კონსერვატორებს და 1886 წელს გლადსტონის მეუღლის თავმჯდომარეობით ლიბერალი ქალების კავშირი დაარსეს. ეს კავშირი თავგამოდებით იბრძვის ქალის პოლიტიკურ უფლებების მოსაპოვებლად. საზოგადოებათა პალატაში რამდენჯერმე აძრეს კიდეც ქალების საარჩევნო უფლების შესახებ კითხვა, მაგრამ მოწინააღმდეგეთა ხრიკების წყალობით დღემდის სანატრელ საგნად აქვთ ეს უფლებები და პროგრამის პირველი მუხლი ჯერაც ვერ განუხორციელებიათ.

საარჩევნო უფლებას ინგლისის ქალები მუდამ როდი იყვნენ მოკლებულნი. 1832 წლამდის საარჩევნო კანონმდებლობისთვის სულ ერთი იყო, მესაკუთრე მამაკაცი იქნებოდა თუ ქალი. ხსენებულ წლამდის საერთოთ 500.000 ამომრჩეველი იყო ინგლისში, რომლის ერთ მეშვიდედს ქალები შეადგენდნენ. 1832 წლის რეფორმამ ამომრჩეველთა რაოდენობა გააორკეცა, მილიონად აქცია, მაგრამ ქალებს კი წაართვა ეს უფლება, თუმცა უწინდელ ამომრჩეველ ქალებს ისევ დაუტოვა არჩევნების უფლება. ამ გვარად 1867 წლამდის ამომრჩეველ ქალთა რაოდენობა შეუცვლელად იყო დატოვებული. 1867 წლის ახალმა საარჩევნო რეფორმამ ამომრჩეველთა რაოდენობა ორ მილიონად აქცია და ქალები სრულიად ჩამოაშორა არჩევნებს. ბევრი იბრძოლა ამის წინააღმდეგ ცნობილმა ჯონ სტიუარტ მილმა, მაგრამ ყოველი მისი ცდა და ბრძოლა წყლის ნაყვა გამოდგა, რადგან კონსერვატორებმა არც ერთი ამგვარი ბილი არ გაატარეს საზოგადოებათა პალატაში. ამის შემდეგაც ბევრი საზოგადო მოღვაწე გამოექომაგა ქალებს, მაგრამ ესენიც ვერას გახდნენ.

სულ სხვა ბედი ეწიათ ქალებს ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში. 1835 წლამდის განუსაზღვრელად ჰქონდათ მათ ეს უფლება მინიჭებული, მაგრამ ამ წელს კი არჩევნების უფლება წაართვათ, თუმცა პარლამენტის არჩევნებში ისევ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. 1869 წ. უწინდელი უფლებები დაუბრუნდათ და პარლამენტის არჩევნებს კი ჩამოაშორეს. ამ ჟამად ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში ინგლისელი ქალები მამაკაცებთან ერთად და თანასწორად იღებენ მონაწილეობას.

დაუბრუნდებით ისევ ბერნსა და გარტონის ბრძოლას და ერთი კორესპონდენტის სიტყვებს მოვიყვანთ ამის შესახებ. „გარტონმა, როგორც ლუდხანისა და მრავალზედ უმრავლესი სამიკიტნოების პატრონმა, კანვასსაციის ბაზათ სამიკიტნოები გადააქცია, სადაც აუარებელი ხალხი იკრიბება, მსჯელობს და თან მდიდარი კანდიდატის სარჩოს შეექცევა“. თუმცა კანონით ამომრჩევლების დათრობა-გამასპინძლება აკრძალულია, მაგრამ როგორც ეტყობა, ამ ქვეყნის ძლიერებმა მარტო ჩვენში არ იციან კანონის გვერდის ახვევა. ვინ დაუმტკიცებს გარტონს, რომ თავის ხარჯზედ ათრობს და უმასპინძლდება ამომრჩევლებს, როდესაც კერძო მიკიტანიც თავისუფლად ჩაიდენს ამას და მერე კი სამიკიტნოების მეფისაგან ჩუმათ სასყიდელს მიიღებს? „ქუჩები გაჭედილია ხალხით, მდიდრულად მორთული კარეტებით, რომლებშიც ბრილიანტსა და სხვა თვალ-მარგალიტში მჯდომი ქალები სადღაც მიეჩქარებიან. ბეტერსის მდიდარ ქუჩებში ყოველ ნაბიჯზედ გვებერთელა აფიშებს ნახავთ, რომლებიც ჯონ ბერნს მასხარად იგდებენ და გარტონის პატრიოტულ გრძნობას კი აქებ-ადიდებენ. დარაბები, კედლები, სავაჭრო სახლებისა თუ მდიდარი სასახლეების ფანჯრები უზარმაზარი აფიშებით არის სავსე და ყოველი მათგანი ერთი და იგივე სტერეოტიპურის წინადადებით თავდება: „კენჭი გარტონს“. სანაცვლოდ ღარიბ ქუჩებში ფანჯრებსა და კედლებზედ პატარა აფიშებს ნახავთ, რომლებზედაც მოკლეთ სწერია: „კენჭი ხალხის მეგობარ ჯონ ბერნსს.“ სადამოობით ქარხნებიდან მომავალ მუშა ქალებს შლიაპებსა და გულზე ჯონის სურათები აქვთ გაკეთებული, ყველას პირზე იმის სახელი აკერია, ყველა იმაზე ლაპარა-

თავის თავად იგულისხმება, ყველა მსოფლიო სახელმწიფო სამხედრო ძალის საშუალებით სდგებოდა... მაგრამ სამხედრო ძალასთან სხვა ფაქტორებიც იჩენდნენ თავს: 1) როგორც ევროპაში, ისე აზიაში ყოველი სამხედრო გამარჯვება მტკიცდებოდა დაუყოვნებლივ კულტურულის წინსვლით— მეცნიერების, ხელოვნების და ვაჭრობის განვითარებით. გამარჯვების ნაყოფს ხმალზე უფრო მშვიდობიან განვითარების პირობებში იცავდა და 2) პოლიტიკური ძლიერება, შეძენილი იარაღით და იარაღითვე თავდაცული, აუცილებლივ ინგრევა, როგორც-კი ეს იარაღი დამარცხდება. აი ეს ორი ისტორიული ფაქტი რომ მოვიხმაროთ რუსეთის ეხლანდელ და მომავალ მდგომარეობის გამოსაკვლევად, სანუგეშო დასკვნის გამოყვანა ძნელი საქმე იქნება.

შიშს დიდი თვალები აქვს. მაგრამ ასეთი შიში სამარცხვინო არ არის. ბევრად უფრო სამარცხვინოა შიში პრესტიჟისა, რეპუტაციის დაკარგვისა, ე. ი. ისეთ რისამე დაკარგვისა, რაც უნიადაგოა, გაბედულია და ადრე თუ გვიან უთუოდ გამომჟღავნდება. აქამდე ბიუროკრატია ასეთის შიშით ხელმძღვანელობდა—არ შეგვიტყონ ჩვენი სისუსტე, არ გაიგონ ჩვენ საშუალებათა და განზრახვათა არსებობაო. მაგრამ დღეს ნიღაბი აეხადა ჩვენის ბიუროკრატიის უძლეველობას, დაუშრეტელ ძალას და პოლიტიკურ ღრმა აზროვნებას.

რაც შეიძლება ჩქარა უნდა ამოვავსოთ შიგნიდან ის სიცარიელე, რომელიც დღეს გაჩნდა; თორემ ჩვენი დასავლეთელი მეზობლები არ დაანებებენ მის გარედან ამოვსებას.

უცხოეთის პრესსის აზრი საზღვაო ბრძოლის გამო

ორ წინა ნომერში ჩვენ გავაცანით მკითხველთ რუსეთის მთავარ გაზეთების აზრი როჟესტვენსკის ესკადრის განადგურების შესახებ. ეხლა გვინდა ორიოდ სიტყვით ისიც ვაცნობოთ საზოგადოებას, თუ რას ჰფიქრობს და სწერს ამის გამო დასავლეთ ევროპის პრესსა. იმის აზრი ჯერ-ჯერობით მხოლოდ დეპეშებიდან ვიცით, ან სულ პატარა ცნობებიდან; ყველაფერს, რასაც იქ სწერენ, დანამდვილებით, რასაკვირველია, მალე ვერ გავიგებთ.

ყველა უმთავრესი გაზეთები ევროპის სატახტო ქალაქთა ერთხმად ამბობენ, რუსეთს აღარ შეუძლია ომის გაგრძელება და უნდა შეურიგდეს იაპონიასო; დამარცხების მიზეზები ბევრია, მაგრამ თავი და თავი საქმე სისტემის უვარგისობაა და ამიტომ დაუყოვნებლივ საჭიროა რუსეთი თავის წეს-წყობილების განახლების საქმეს შეუდგესო. სხვა და სხვა გაზეთების ნაამბობს თავს დავანებებთ დ გადმოვცემთ მხოლოდ გერმანიის კონსერვატიულ გაზეთის „კრეიც ცაიტუნგ“-ის აზრს, რომელიც არსებითად ძალიან უახლოვდება მთელის პრესსის შეხედულებას. აი, როგორ გადმოგვცემენ რუსული გაზეთები ხსენებულ გერმანულ გაზეთის ნალაპარაკევს:

რამდენადაც შესაძლებელია აქედან გავიგოთ ის, რაც შორეულ აღმოსავლეთის წყლებში მოხდა, უნდა აღვიაროთ, რომ როჟესტვენსკიმ შეასრულა თავისი მოვალეობა; მას ვერავინ უსაყვედურებს და ვერ დასდებს ბრალს, რად გაილაშქრა ძლიერ მტრის წინააღმდეგ ცუდის გემებითა და ცუდად გაწვრთნილ მეზღვაურებითაო. რუსის მეზღვაურთა ერთი ნაწილი ლომივით მამაცურად იბრძოდა; მეორე ნაწილზე-კი ამას ვერ ვიტყვით, რადგან დიდ გემების დანებება ჯერ არ გაგონილა საზღვაო ომში. ძნელია ეს იმით ავხსნათ, რომ გემები არ ვარგოდა და მეზღვაურებიც არ იყვნენ გამოცდილნი... რაც შეეხება როჟესტვენსკის, მან, რასაკვირველია, იცოდა როგორი გემები მიჰყავს და რა ღირსების მეზღვაურები ერტყა გარს; მაგრამ რა უნდა ექნა: უბრძანეს წადიო და უნდა წასულიყო. საზოგადოდ, არ შეიძლება ამ უბედურ ომში ვისმეს რამე დაბრალდეს! განა ზასულიჩი, შტაკელბერგი, კუროპატკინი და რუსეთის ყველა სხვა სარდლები დამარცხებულნი არ იყვნენ იაპონელებისაგან, თუმცა უკანასკნელთ ნაკლები ჯარი ჰყავდათ, ვიდრე რუსებს? არა, ამ ომში ესა თუ ის პირი-კი არ დამარცხებულა — რუსეთის წეს-წყობილების მთელი სისტემა დაიმსხვრა,—დაიმსხვრა, რადგან ადამიანის ხასიათის დამცირებაზე არის დამყარებული, რადგან დაახრჩო ხალხი, შეჰბოჭა ერის საუკეთესო ძალები. რუსეთის სახელმწიფოს მსახურნი კარიერისტები და ქვეშძრომი ხალხია, არც ნიჭი აქვთ, არც სინიდისი. განა ასეთ პირობებში შეიძლება ვისიმე ჯობნება?!

საცა კონსერვატიული გაზეთი ამას სწერს, წარმოიდგინეთ, სხვები რას უნდა ამბობდნენ. მართლაც, როგორც დეპეშებიდანა სჩანს, ყველა გაზეთები შინაურ მოუწყობლობაზე სწერენ და ურჩევენ რუსეთს, მალე მოახდინეთ წეს-წყობილების სრული რეფორმა, თორემ მთელი იმპერია დაინგრევაო.

ახალი ამბავი

✦ „კავკ.“-ში დაბეჭდილია: „ტფილისში ხმა გავრცელდა, **ვითომ პეტერბურგში რაღაც არეულებები მომხდარიყოს.** ჩვენმა რედაქციამ დეპეშა გაგზავნა და პასუხად მიიღო, რომ პეტერბურგში სრული მშვიდობიანობა და სიწყნარეაო“.

✦ ჯერ ნახიჩევნის ჟლეტა-ხოცვა არ გათავებულიყო, რომ ახლა **ეხლა ერევანშა შეუდგნენ სომეხ-თათარნი ერთმანეთს სისხლის ღვრას.** 23 მაისს, 10 საათზე, ასტყდა მთელ ქალაქში თოფებისა და რევოლვერების სროლა. ხელად დაიკეტა დუქნები და მაღაზიები. ქუჩებში დიდძალი ბრბოები გაჩნდა. თათრები და სომხები ერთმანეთს ეცნენ, რომლის დროსაც ოცდა ათ კაცამდე მოჰკლეს. უმრავლესობას სომხები შეადგენენ. საბედნიეროდ, მალე ჯარი გაჩნდა და ამ ძმათა ჟლეტას და უდანაშაულო სისხლის ღვრას ბოლო მოუღო. „კავკაზ“-ში დაბეჭდილია: „ერევნის მეციხოვნე ჯარის უფროსი გენერალ-მაიორი შვედოვი დეპეშით იუწყება: „23 მაისს გუბერნატორის მოთხოვნილობით მთელი ჯარი გამოვიყვანე უწესოების ჩასაქრობად ერევანში. უწესოება მოისპო და ჯარი უკან დაბრუნდა“.

✦ „ნოვ. ვრემია“ სწერს: **კავკასიაში მომხდარ არეულობების გამო,** ადგილობრივმა მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ რაც შეიძლება მალე გამოიცეს კანონები მიწათ-მოწყობის შესახებ კავკასიაში. დღემდე არ არის ამის შესახებ კანონები, ამიტომ მოხელენი ხელმძღვანელობენ „კავკასიის მთავარ-სარდლის ინსტრუქციით“, რომელიც გამოცემულ იქმნა 1846 წელს იმპერატორის ნიკოლოზ პირველის დროს. ამ უკანონობის გამო მოხელენი ბევრ ბოროტებას სჩადიოდნენ და ხალხი ათასნაირად იჩაგრებოდა.

✦ **ბაქოში სახლის პატრონებს** გადაჭრილი უარი განუცხადებიათ ქალაქის გადასახადების გადებაზე. სახლის პატრონებს უთქამთ, რადგან ბაქოდან ხალხი ათასობით გარბის, მდგმურები აღარა გვყავს და ფულსაც ველარ გადავიხდითო.

✦ როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, ბაქოს გუბერნატორად ნამყოფს თავ. მ. ა. ნაკაშიძეს **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“ ანდერძით დაუტოვებია** დიდ ძალი ძვირფასი წიგნები ქართულ და რუსულ ენაზე, ამავე საზოგადოების მუზეუმისთვის დაუტოვებია სხვა და სხვა ძველი ისტორიული ნივთები. წიგნები და ნივთები უკვე გამოუგზავნიათ ტფილისში.

✦ 23 მაისს, ნაშუადღევის სამ საათზე, **ბათუმში ვიღაც შეიარაღებულ კაცებს** გაუძარცვიათ „მესაჟერი-მარიტიმის“ კასირი. წაუღიათ 1200 მ.

✦ როგორც ტფილისის **ნოქართა საზოგადოების** ანგარიშიდან სჩანს, 1905 წლის პირველ იანვრისთვის ხსენებულ საზოგადოებას ჰყავდა 185 წევრი.

✦ ფინანსთა მინისტრმა შეიწყნარა ტფილისის ნოქართა საზოგადოების შუამდგომლობა საზოგადოებასთან **სავაჭრო კლასების** დაარსების შესახებ. კლასები დაარსდება მომავალ სიმოსწავლო წლიდან.

✦ ფინანსთა სამინისტრომ შეიწყნარა ტფილისის ნოქართა საზოგადოების შუამდგომლობა წესდების მე-13 მუხლის შეცვლის შესახებ. ამ შეცვლილ მუხლის ძალით პირველ კატეგორიის წევრთათვის საწევრო ფულად დადებულია 5 მ. ხოლო მეორე და მესამე კატეგორიის წევრთათვის—3 მან.

ტრამვაიადა

არ იქნა ბოლო არ მოეღო ტრამვაის საქმის მოწესრიგებას. გეგონა, საქმე გათავებული იყო, მაგრამ მოვტყუვდით. სამედიატორო სამართალი არ შესდგა და სადავო საკითხებზე ისევ მოლაპარაკება გაიმართა ტრამვაის დირექციისა წარმომადგენელს და მოსამსახურეთა დეპუტატებ შორის. ეხლა სცენაზე პატრონი ფაინი გამოვიდა და ხელახლა შეუდგნენ მოთხოვნათა განხილვას. ფაინი ნამდვილ „საქმის კაცის“ შთაბეჭდილებას ახდენს; ეს არის ბევრი ლაპარაკი უყვარს. მაგრამ ეს მრავალ სიტყვაობა ეხმარება ნიშანში ამოღებულ საქმის აღსრულებლად. სულ იმ ხელშეკრულების ბრალია ყველაფერი, ქალაქთან რომ დაუდვია უსახელო საზოგადოებასო, გამოაცხადა ფაინმა; მე თავის დღეში ხელს არ მოვაწერდი ასეთ პირობას ქაღალდსო. ხმოსნებს რომ ჰკითხო, ისინიც ამასვე ამბობენ—ქალაქის ინტერესები სრულიად არ არის უზრუნველყოფილი ტრამვაის საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულებაშიო და როგორ მოაწერეს ხელი ასეთ ქაღალდსო. ვინ ტყუის? სამწუხაროდ ხმოსნები არიან მართალნი; თორემ სხვაფრივ იყოს საქმე, უსახელო საზოგადოება დღესვე გადასცემდა ქალაქს მთელ ტრამვაის. ასეთ „შესავლის“ შემდეგ ფაინმა შეატყობინა მოსამსახურეთა წარმომადგენლებს, თუ რას დაათმობინებს იგი უსახელო საზოგადოებას.

რვა საათის სამუშაო დღე საბჭოსაგან არის დამოკიდებული, მაგრამ ვეცდები, რომ შვიდზე დავიწყოთ მოძრაობა და 11-ზე გავათავოთო, ისე რომ პირველი ვაგონი სრულ თერთმეტზე შევიდეს პარკში და დანარჩენები შემდეგო. ჯერ 12 საათამდე უნდოდა მოძრაობის გაგრძელება, მაგრამ რომ დაინახა, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ასეთმა წინადადებამ, მაშინ 11 საათი სთქვა.

ვინც ეხლა სამსახურშია, ჯამაგირად დაენიშნება—კონდუქტორსა და ვატმანს 1 მ. და კონტროლერსა და სადგურის უფროსს, 1 მ. 50 კაპ. ამასთან ორის წლის განმავლობაში ყოველ ექვს თვეს ორი შაური მოემატებაო. ახლად შემოსულს-კი ჯერ 90 კ. დაენიშნება და შემდეგ ორ-ორი შაური მოემატება, როგორც ზემოთ არის ნათქვამი.

რაც შეეხება დარაჯებსა და შავ-მუშას, ვინც ეხლა არის ადგილზე მანეთი დარჩება, ახლად მიღებულს მიეცემა 90 კაპ. ერთის წლის შემდეგ ორი შაური მოემატება.

დიდ დღესასწაულებზე ორჯელ მეტი ფასი იქნება ყველასთვის; ბინის ფული არავის არ მიეცემა; ფორმის ტანსაცმელს საზოგადოება იყიდის; „ჯილდო“ 5 მანეთი საახალწლოდ; ექიმი და წამლობა უფასოდ; მუდმივი ფერშალი დეპოში; უფასო წამლობა ეხება მოსამსახურის ცოლსა და მცირეწლოვან შვილებს; ექიმი ბინაზე უნდა მივიდეს ავადმყოფთან. ავადმყოფს ერთ წლამდე შეენახება ადგილი და თვე-ნახევრის განმავლობაში ნახევარი ჯამაგირი მიეცემა; დროებით დათხოვნა ჯამაგირის შენახვით 5 დღე; უჯამაგიროდ მეტიც; მაგრამ წასულის მაგიერ ამხანაგებმა უნდა იმუშაონ ზედმეტ ქირაში. მოსამსახურეთა დათხოვნა-მიღება საამხანაგო სასამართლოს საქმე იყოსო, თხოულობდნენ მოსამსახურენი. ფაინი თანახმაა, სცადონო ასეთი წესი. გაფიცვის ფულის მოცემის პირობას ვერ დავდებთო; დამხმარებელ კასსას 1000 მ. მივცემთ წლიურადო; მოსამსახურეთათვის დილას და სადამოს მუშაობის გათავების შემდეგ ვაგონები უნდა იქნეს. ვისაც ორ თვეზე 1 სამსახურში შესვლიდან დაითხოვენ, 1/2 თვის ჯამაგირი უნდა მიეცეს; შემდეგ-კი ყოველ ნამსახურ წელიწადზე—1 თვის ჯამაგირი; ვისაც 5 წელზე მეტი უმსახურნია და დაითხოვენ წლის ჯამაგირი მიეცემა—და სხვა წვრილმანები.

ტრამვაის მოსამსახურეებს საბოლოო პასუხი უნდა მიეცათ ფაინისათვის გუშინ სადამოს.

სასამართლო

მომრიგებელ შუამავლის და გლეხების საქმე

(დასასრული *)

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე ბრალდებულთ თავი დამნაშავედ არ აღიარეს. მოწმედ გამოწვეულმა ex-მომრიგებელმა შუამავალმა მიხეილ ენიკოლოფოვმა განიმეორა საბრალდებლო ოქმში აღნიშნული ბრალდება და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ს. დიდ-გომარეთში შესდგა გლეხთა პარტია მასწავლებლის თავმჯდომარეობით, რომელიც ფაქტიურად განაგებდა სასოფლო საქმეებს, ფულს და მამასახლისსა თუ სხვა ადმინისტრაციის მოხელეთ წინააღმდეგობას უწევდაო.

ბრალდებულის ამხანაგი. საიდან იცით, რომ მასწავლებელი ხალხში პროპაგანდას ეწეოდა.

მ. ენიკოლოფოვი. მამასახლისისა და მწერლისაგან.

ბრალდებულის ამხანაგი. შეგიძლიათ გვიჩვენოთ ის მუხლი კანონისა, რომელიც უფლებას გაძლევთ თქვენ მასწავლებლის დაჯარიმებისა და საზოგადო ფულის განკარგულებისას?

მ. ენიკოლოფოვი. მე... ასეთ კანონის მუხლი არ ვიცი, მაგრამ ვხელმძღვანელობდი ლორის ნაწილის მომრ. შუ. მ. მაგალათით და მაზრის უფროსის მონდობილებით.

ბრალდებულის ამხანაგი. იცით თქვენ ქართული ენა?.

მ. ენიკოლოფოვი. ვიცი, მხოლოდ ძალიან სუსტად.

ბრალდებულის ამხანაგი. რად დაუნიშნეთ თქვენ გომარელებს ქართულის უცოდინარი მწერალი?

მ. ენიკოლოფოვი. მე იგი დროებით დავნიშნე, რადგან შესაფერი კაცი არ იყო.

ბრალდებულის ამხანაგი. თქვენ ნახეთ, რომ სალარიძე უბრძანებდა ხალხს—„მოდით, დავხოცოთო“ და სხვა?

მ. ენიკოლოფოვი. დიაღ, მე ვნახე, როგორ აგიტაციას სწევდა.

ბრალდებულის ამხანაგი. აკი სთქვით, კარ-ჩაკეტილში ვისხედითო. მერე ვინ და რითი ჩალეწა ფანჯრები!

მ. ენიკოლოფოვი. სალარიძემ, ირემაძემ, ურუმაშვილმა და სხვებმა ხელებით.

ბრალდებულის ამხანაგი. ხომ ხელებს დაიჭრიდნენ!

სასამართლოს წევრი ნ. ა. ტარსაიძე. თქვენ ამბობთ, რომ სალარიძე არა კეთილ-საიმედო და საშიში კაციაო. მოახდინეთ კიდეც განკარგულება მის დათხოვნის შესახებ?.

მ. ენიკოლოფოვი. მე ვსწერდი გუბერნატორს, რომ სალარიძე მავნე კაცია, ხალხს აჯანყებს და საჭიროა მისი სრულიად გაძევება ბორჩალოს მაზრიდან.

ენიკოლოფოვისმოწმეებმა მირზა-რიზა-ალი-ზადემ, სოიუნ-ყარა-ოღლიმ და იოლჩი-ნასიბ-ოღლიმ ილაპარაკეს თანახმად მათის „ბატონის“ სიტყვებისა, ხოლო სულ სხვა გვარად განმარტეს საქმის გარე-

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2826.

კობს. თითონ ჯონი კი ამაებს არა სჯერდება. ნიშნავს ურილობებს, ამბობს მრავალ სიტყვებს, რომლებშიაც მთავრობის პოლიტიკას ქარ-ცეცხლს აფრქვევს. 8 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში ბერნსის ურილობა იყო დანიშნული. ეს დარბაზი იქამდის დიდია, რომ რამდენიმე ათას კაცს თავისუფლად მოითავსებდა. რვის ნახევარზე დარბაზი სრულიად გაიჭედა და ბერნსი იძულებული იყო სხვა უფრო მომცრო დარბაზში მეორე ურილობა დაენიშნა. მალე ეს დარბაზიც გაიჭედა და მესამე დარბაზი დასჭირდა. ბერნს ყოველგან უნდა წარმოეთქვა სიტყვა. სანამ დიდ დარბაზში გაათავებდა საქმეს, სხვებში მისი თანაშემწენი, სხვათა შორის ცნობილი სოციალ-დემოკრატი კრემი და სხვები ლაპარაკობდნენ“.

არჩევნების მეოთხე და უკანასკნელ აქტს კენჭის ყრა შეადგენს. ამ აქტსაც დიდი სიფრთხილე და ენერგია უნდა.

კონსტიტუციის ძალით არჩევნები დილის 8 საათზე იწყება და სადამოს რვა საათზე უეჭველად უნდა გათავდეს. საქმის უკეთ და უფრო დასავგირგვინებლად ყოველი საარჩევნო ოლქი რამდენსამე ნაწილად იყოფება და ყოველ ნაწილში კენჭის საყრელი პუნქტი იმართება. ამრიგად არჩევნები ერთსა და იმავე დროს ოლქის რამდენიმე ნაწილში ხდება, მაგრამ კონსტიტუციის ჩვეულებით არჩევნები უბირ დღით სწარმოებს, რის გამო ბევრ მუშას უჭირს ხოლმე არჩევნებზე დასწრება. მუშების უმეტესი ნაწილი ქალაქის იმ ნაწილში არა მუშაობს სადაც სცხოვრობს. სამუშაოთ კი, ეგრეთ წოდებულ, „მუშების მატარებლებით“ მიემგზავრებიან ხოლმე, რომელნიც დილის ხუთსა და შვიდ საათს შუა გადიან ისე რომ ჯერ არჩევნები დაწყებული არ არის, რომ მუშა საარჩევნო ოლქს თავს ანებებს კიდეც. სადამოთი მშიერი და დაღალულ-დაქანცული ექვსსა ან შვიდ საათზე უნდა დაბრუნდეს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ზედ-მეტი მუშაობა არა აქვს ნაკისრი. მივა თუ არა და ცოტას დაისვენებს იმ წუთსვე მახლობელ საარჩევნო პუნქტისაკენ გასწევს, მაგრამ რაკი ბევრი მოიწყდება უცბათ, ბევრნი კენჭის მიცემას ვერც-კი მოასწრობენ ხოლმე, რადგან შესრულდება თუ არა რვა საათი საარჩევნო ყუთი იბეჭდება და ქალაქის საბჭოში მიაქვთ.

ეს დღე ბრძოლის გადამწყვეტია. ვისაც გადაწყვეტილი არა ჰქონდა, ვისთვისაც უნდა მიეცა თავისი კენჭი, დღეს უსათუოდ უნდა გადასწყვიტოს, ეხლა სიტყვებისა და ურილობების დრო აღარ არის. შესავალ კარებთან ორთავე კანდიდატის აგენტები სდგანან და ამომრჩევლები თით-თითოთ შედიან კარებში. ოთახში გრძელ მაგიდას თვით-მმართველობის წარმომადგენელი უზის, რომელსაც ორთავე მხარეს კანდიდატის დელეგატები უსხედან. დელეგატები გაფაციცებით ადევნებენ თვალს, რომ უკანონობა და უსამართლობა არავინ ჩაიდინოს. თვითმმართველობის წარმომადგენელს უათან გატარებული და ბეჭედ დასმული წიგნი უწყვია, რომელშიაც ამომრჩევლები არიან ჩაწერილნი. ყველა ამომრჩეველს თავისი ნომერი აქვს. ამომრჩეველი რომ თავის გვარსა და ადრესს დაასახელებს, თვით-მმართველობის წარმომადგენელი მის გვარს მოსძებნის, ფურცელს ნახევარს მოაშორებს და ამომრჩეველს მისცემს. იმ ნახევარზე რომელიც წიგნში დარჩება ამომრჩევლის ნომერი, სახელი, გვარი და ადრესი სწერია; მეორეზე კი, რომელსაც ამომრჩეველს გადასცემენ, მისივე ნომერი და კანდიდატების გვარები სწერია. მიიღებს თუ არა ამომრჩეველი ამ ფურცელს, მოაჯორს იქით გადადის, სადაც საარჩევნო ყუთი სდგას, ამორჩეულ კანდიდატს ჯვარს დაუსვამს და ფურცელს ყუთში ჩაუშვებს.

შესრულდება თუ არა რვა საათი, ყველა პუნქტი იხურება, იბეჭდება საარჩევნო ყუთები და ქალაქის საბჭოში მიაქვთ. საარჩევნო ყუთებს თვითმმართველობის მხრივ დანიშნული მოხელე უცდის საბჭოში, რომელიც ისევ კანდიდატების რწმუნებულების თანადასწრებით ყუთებს ადებს და სთვლის ვის რამდენი კენჭი ამოუვიდა. ეს უკანასკნელი აქტიც ძალიან გრძელდება ხოლმე, რადგან კანდიდატების აგენტები ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ მოწინააღმდეგის სასარგებლოთ მიცემული ხმები გააბათილონ. თუ რომელსამე ფურცელზე ჯვარი თავის ადგილზედ არ არის დასმული, ან გარდა ჯვრისა სხვა რამე ნიშანი ან წარწერაა, ყველა ეს საარჩევნო ფურცელს კანონის ძალით აბათილებს. ხმებს რომ დასთვლიან და გამარჯვებული კანდიდატის გვარს გამოაცხადებენ, ფორმალური მხრის დარღვევაზე ლაპარაკი და პროტესტი მეტია. კანდიდატს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია საჩივარი აღძრას, თუ მაგალითად, გამოაშკარავდება, რომ ხმა იმისთანებმაც მისცეს, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა ჰქონდათ. ამ შემთხვევაში, კანდიდატს პეტიცია შეაქვს, რომლითაც საარჩევნო ფურცლების მეორედ გადასინჯვას თხოულობს. სასამართლო ფურცლებზედ დასმულ ნომრებით წიგნში ამომრჩევლის გვარს პოულობს და არჩევს, ჰქონდა მას საარჩევნო უფლება თუ არა. ამ პეტიციაზედაც დიდი თანხა უნდა დაიხარჯოს და ამიტომ თუ-კი რამე გასაკეთებელი, ყოველი კანდიდატი სცდილობს, არჩევნების დროსვე გააკეთოს და, თუ საჭიროა, პროტესტი იქვე გამოაცხადოს.

ამ უკანასკნელ არჩევნებზედაც მუშების დეპუტატმა გაიმარჯვა და არჩეულად კრეზი ბატონი კი არა, პროლეტარი ჯონ ბერნსი გამოდგა. ამგვარი მაგალითებიცა ხდება ხოლმე ინგლისში, მაგრამ უმეტეს ნაწილად-კი ყოველთვის შეძლებულ კლასიდან ირჩევენ დეპუტატებს. როგორც ზევითაც გვქონდა ნათქვამი, ამ ჟამად თორმეტი წარმომადგენელი ჰყავს მუშა ხალხს საზოგადოებათა პალატაში და ვინ არ იცის, რომ თორმეტი კაცი, რაც უნდა ნიჭიერნი იყვნენ, ვერაფერს გახდებიან, იქ სადაც ყოველი კითხვა ასეულმა უნდა გადასწყვიტონ და არა ათეულებმა. ამასთანა ელემენტები ნება უნებურად თავისებურ ელფერს და ხასიათს მალე ჰკარგავენ და საერთო ოპოზიციის სახელით მონათლულნი, ლიბერალების პარტიას ემხრობიან ხოლმე.

ამ რამდენიმე წერილით დაახლოვებით გავეცანით ინგლისის შინაური ცხოვრებას: ვიცით ვის ხელშიც არის პოლიტიკური ძალა, ვინც განაგებს ქვეყნის საქმეებს, ვიცით როგორ უყურებს ინგლისელი პიროვნებას და მის თავისუფლებას, მაგრამ ჯერ კიდევ ერთი რამ არ ვიცით. არ ვიცით რა პოლიტიკას მისდევს ინგლისი თავის ახალშენების შესახებ და როგორ აწყობს მათ პოლიტიკურ ცხოვრებას. ეს უკანასკნელი მეტად თუ არა, ინგლისის შინაურ ცხოვრებისა და კონსტიტუციაზე ნაკლებად საინტერესო არ არის ჩვენთვის.

ამას წინად ერთ რუს ლიბერალთან მომიხდა ლაპარაკი, რომელიც თავს რადიკალად სახავს და კავკასიის პუბლიცისტებში იხსენიება. ეს უმაწვილი ამაყათ აცხადებდა, რომ რუსის მოწინავე საზოგადოებამ დასავლეთ ევროპის მოწინავე საზოგადოებას ზოგიერთ შემთხვევებში გაუსწრო კიდეცაო. როცა მოვსთხოვე დაესაბუთებინა სახელდობრ რაში გამოიჩინა რუსის მოწინავე საზოგადოებამ ეს საკვირველი მხარე ჩემი მოკამათე მეგე დამეკითხა: აბა, დამისახელეთ სხვა ისეთი ქვეყანა და ხალხი, რომელიც თავიანთ სახელმწიფოში შესულ არა მკვიდრთ თითონ, თავის ნებით ჰპირდებოდეს სრულ ავტონომიასაო?

მე მივუგე—შეიძლება მაგისთანა მაგალითი კი ვერ დაგისახელოთ, სადაც მკვიდრნი არამკვიდრთ ავტონომიას დაჰპირებოდნენ, მაგრამ იმისთანა ხალხსა და სახელმწიფოს კი ადვილად დაგისახელებთ, რომელმაც დაპირების ნაცვლად თავის ახალშენებს მიანიჭა კიდეც სრული ავტონომია-მეთქი. ამის მაგალითად მე ინგლისი მოვიყვანე და მართლაც ყველაფრით საკვირველი ინგლისი ამ მხრივაც საკვირველი და განსაცვიფრებელი ქვეყანაა. მოიდგამს თუ არა ინგლისელი სადმე ფეხსა და გაიჩენს თუ არა ახალშენს, დაუყოვნებლივ სრულ ავტონომიას ანიჭებს მას. თვითმმართველობის პრინციპი და სიყვარული როგორც ეტყობა, ძვალსა და რბილში აქვს ინგლისელს გამჯდარი და როგორც თითონ არ შეუძლიან უთვით-მმართველობოთ ცხოვრება, ისე სხვასაც უყურებს. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ერთი ქვეყნის შესახებ იქცევა უსამართლოდ, მაგრამ ამის მიზეზი სულ სხვაა. ირლანდია ისეთ მდგომარეობაშია დღეს, რომ იარაღის დაყრა და ბრძოლის შეწყვეტა არას გზით არ შეუძლიან. მას, ერთი ხანობა, დაახლოვებით ოცი წელიწადი, თავისი საკუთარი პარლამენტი ჰქონდა და შინაურ საქმეებს თვითონ განაგებდა, მაგრამ ეს უფლება მალე წაართვეს და მკვიდრ მცხოვრებლებთან ერთად ლონდონის პარლამენტში მოიწვიეს. ამ ჟამად ირლანდიელებს ას-სამი დეპუტატი ჰყავთ ინგლისის საზოგადოებათა პალატაში მაგრამ მათი ხმა სხვა დეპუტატების ხმებში ისე იკარგება, როგორც „ზღვაში დაცემული წვეთი წვიმისა“. ირლანდიის ცხოვრების გაუმჯობესებას ას სამი დეპუტატი ვერასოდეს ვერ შესძლებენ თუ საკუთარი პარლამენტი, იმათებურად ჰომ-რული და ჩვენებურათ ავტონომია არ მიიღეს. დღეს ყოველი ირლანდიელი ამ ჰომ-რულს, მოძრავად ავტონომიას ეტრფის და მზათ არის თავიც შესწიროს მას. ამ მისწრაფებამ და სატრფიალო საგანმა ირლანდიის ყოველი კლასი და ჯგუფი შეაერთა და შეაკავშირა. ჰომ რულის წინააღმდეგნი მხოლოდ ლენდ-ლორდები არიან, მაგრამ ლენდ-ლორდებს ხომ ირლანდიელებთან საერთო არაფერი არა აქვთ რა! ირლანდიაში ისეთი დიადი ბრძოლაა დღესაც, რომ მის შესახებ ჩვენ აზრს რამდენიმე სტრიქონით ვერ წარმოვთქვამთ.

სანამ ამ ჩაგრულ ქვეყნის ისტორიას და აწმყო მდგომარეობას გადავავლებდეთ თვალსა, ჯერ ის ახალშენები გავიცნოთ, რომელთაც მინიჭებული აქვთ კიდეც ავტონომია და განვიხილოთ როგორ ისარგებლეს მათ ამ ძვირფასი უფლებით და თავიანთი შინაური ცხოვრება როგორ მოაწყეს. ამ ახალშენებში პირველი ადგილი, სამართლიანად, ახალ ზელანდიას უჭირავს, რომელიც თავისის სოციალურ და პოლიტიკური რეფორმებით დღეს სამაგალითო გამხდარი არა თუ სხვა ახალშენებისთვის, თითონ მეტროპოლიისა და, ასე გასინჯეთ, მთლად განათლებულ ქვეყნებისთვისაც კი. ის, რაც ახალ ზელანდიელებსა აქვთ დღესაც ყველგან, ევროპაში და ამერიკაშიაც კი, ჯერ-ჯერობით იდეალად არის დასახული.

ის ველური ხალხი (მაორი), რომელიც ამ ოცდაათი წლის წინად თავის თანამოძმეებს გაისხლებოდათ და რომელიც ქონ-წასმული, კანდასერილი და ტიტველა, გაღეშილი ეგდო ხოლმე მზეზედ, დღეს ქვედა და ზემოის პალატაში ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში იღებს მონაწილეობას, დღეს იმისი ცოლი და ქალი მამაკაცებთან ერთად თავისუფლად ირჩევს პალატაში გასაგზავნ წარმომადგენლებს, დღეს იმისთვისაც ისევე, როგორც რომელისამე ინგლისელი ქალისათვის, (ახალ ზელანდიაში, რასაკვირველია) პირველ-დაწყებით სწავლა-განათლება სავალდებულოა და სხვა.

შემდეგ წერილში ახალ ზელანდიის კონსტიტუცია განვიხილოთ და მერე მათ სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმებს გადავავლოთ თვალი.

ი. პ—ვი.

მოება ბრალდებულთა მოწმეებმა, გომარეთის გლეხებმა, რომელთაც განაცხადეს, რომ მომრიგებელმა შუამავალმა უდანაშაულოდ სცემა და დააპატიმრა ურუმაშვილი და თეთრაძე, რომელთა განთავისუფლებას თხოულობდა სალარიძე და ხალხი.

ბრალმდებლის ამხანაგმა ს. ვ. კვალევსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა უწესო და უკანონო საქციელი ყოფილ მომრიგებელ შუამავლის ენიკოლოფოვისა, რომელიც გადაემტერა მასწავლებელს სალარიძესა და გლეხებს მხოლოდ იმისთვის, რომ მწერლის გამოცვლა და საზოგადო ფულის დაბრუნება სთხოვეს. შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევისა და ხალხის ამბოხებისა გამო ბრალდებაზე უარი განაცხადა და დაინახა მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა მოხელისა.

ნაფიც ვექ. თავ. იოს. ბარათაშვილმა მოკლე, მაგრამ საგულისხმიერო სიტყვით დაახასიათა მომრიგებელი შუამავალი ენიკოლოფოვი როგორც ტიპი ჩვენებურ დუხჭირ ბიუროკრატიისა და მოითხოვა თავის რწმუნებულთა სრული გამართლება.

უკანასკნელი სიტყვა მიეცა ს. სალარიძეს, რომელმაც დაახლოვებით შემდეგი სთქვა: მე განათლება საზღვარ-გარედ მიმიღია, ვლაპარაკობ სამ ევროპიულს ენაზე და შემეძლო ქალაქში უფრო შესამჩნევი ადგილი დამეჭირა, მაგრამ მე გავეშურე ჩემს სამშობლო სოფელს გომარეთში, სადაც დავბადებულვარ და სიყმაწვილე გამიტარებია. მე მინდოდა ღარიბ და უსწავლელ გლეხთა მატერიალური აღორძინება და ამ აზრით დავაარსე მომხმარებელი ამხანაგობა—დეპო და ვცდილობდი საზოგადო ერბოყველის ქარხნის დაარსებასაც; ამისათვის ვმართავდი კრებებს და ვუხსნიდი ხალხს თავისს საჭიროებას. ეს არ ეპიტნავათ, რასაკვირველია, მამასახლის-მწერალსა და მაზრის ადმინისტრაციას. დამიწყეს ბეზღობა და ცილის წამება. მომრიგებელი შუამავალი ენიკოლოფოვი ყოველს ღონისძიებას ხმარობდა ჩემი დაწყებული საქმე ჩაეშალა და მეც დაველუპე. მიაღწია კიდეც თავის მიზანს—მე ადმინისტრატიულად გაძევებულ ვიქმენ ბორჩალოს მაზრიდან, სადაც ცხოვრება ადმიკრძალეს, ვიჯექ საპყრობილეში 3 თვე და ჩემი ცოლ-შვილი სიმშილით იხოცებოდა; ჩემთან იტანჯებოდა საპყრობილეში უდანაშაულო გლეხი აბრამ ურუმაშვილი მთელ 5 თვეს. და აი ახლა იმის მაგიერად, რომ დამნაშავეთა სკამზე დაესვათ ამდენი კაცის დამღუპავი მომრიგებელი შუამაველი ენიკოლოფოვი, ჩვენ ვზივართ აქა! სად არის სამართალი? ბ-ნო მოსამართლენო, მე არა გთხოვთ მოწყალებას, არამედ სამართლიანობას.

სხდომა გაგრძელდა დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდის. მცირე ხნით თათბირის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბრალდებულნი სრულიად გამართლებულ იქმნენ და სასამართლოს ხარჯიც ხაზინას დაეკისრა. ამ გადაწყვეტილებას სიხარულით მიეგება ხალხი, რომლითაც დარბაზი გაჭედილი იყო. განაჩენი საბოლოოდ დაწერილებით დასაბუთებული გამოცხადებულ იქმნება 31 მაისს.

ამერიკელ ქალთა უფლებანი *)

რუსეთის საზოგადოება ყურადღებით ეკიდება ამ ჟამად ქალთა პოლიტიკურ უფლებების საკითხსა და ამიტომ საჭიროდ ვსთვლით გავუზიაროთ ცნობები იმის შესახებ, თუ რა უფლებებით სარგებლობენ სრულ-წლოვანი ქალები ამერიკის შტატ კოლორადოში. ამერიკის 4 შტატში მიენიჭათ ქალებს ეს უფლებები: კოლორადოსა, უტასა. კაიომინსა და აიდოში. იქ ქალები იღებენ მონაწილეობას საქალაქო, სასოფლო და ისეთ არჩევნებში, რომელთაც მთელი შტატისათვის აქვს მნიშვნელობა, მაგალ., შტატის გუბერნატორისა და საკანონმდებლო საბჭოს არჩევა და სხვ. იღებენ მონაწილეობას აგრეთვე „ნაციონალურ“ არჩევნებში, ე. ი. ირჩევენ კაცებს, რომელთაც უნდა ამოირჩიონ რესპუბლიკის პრეზიდენტი. ქალებს უფლება აქვთ არჩეულ იქნენ სხვა და სხვა თანამდებობაზე საქალაქო, სასოფლო და მთელი შტატის თვითმმართველობაში. აღმოსავლეთის შტატების კონსერვატიული ნაწილი უკმაყოფილო თვალით უცქერის მოხსენებულ ოთხ შტატში ქალთათვის მინიჭებულ უფლებებს; ყველაზე უფრო ემტერებიან ისინი შტატ კოლორადოს, სადაც ქალები საკანონმდებლო მუშაობასა და საკანონმდებლო საბჭოში იღებენ მონაწილეობას, როგორც ამ საბჭოს წევრნი, აგრეთვე შტატის ადმინისტრაციაშიაც ინიშნებოდნენ მოწინავე ადგილზე. კოლორადოში 1893 წ. მიანიჭეს ქალებს უფლებანი. ქალები დიდად აფასებენ ამ უფლებებს და, თუმცა რიცხვით მამაკაცებთან შედარებით ამ შტატში 30 ათასით ნაკლებნი არიან, უკანასკნელ არჩევნებში მონაწილე ქალთა რიცხვი კაცებისაზე მეტი იყო.

1898 წელს კოლორადოს საკანონმდებლო კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „უკვე 5 წელიწადია მას შემდეგ, რაც კოლორადოში ქალებს კაცებთან თანასწორი უფლება მიენიჭა. ამ რეფორმას ის შედეგი მოჰყვა, რომ სხვა და სხვა თანამდებობაზე უკეთეს კანდიდატებს ირჩევენ, საარჩევნო აგიტაცია უფრო სინიდისიერად სწარმოებდა, კანონების შინაარსი გაუმჯობესდა. ქალები შტატის სასარგებლო წევრებად გახდნენ, რადგან შეიგნეს, რომ შტატის შინაურ საქმეებში იმათაც დაევალათ პასუხისმგებლობა. ამის გამო შტატის წარმომადგენელთა და სენატის წევრთა შეთანხმებით ვურჩევთ ამერიკის ყველა შტატებს მიანიჭონ ქალებს პოლიტიკური უფლებანი უმაღლეს სოციალურ წეს-წყობილების განსახორციელებლად“.

ამ დადგენილების პირი გაუგზავნეს ყველა შტატის საკანონმდებლო კრებას და მიაქციეს პრესსის ყურადღება მოყვანილ რეზოლიუციას.

კენჭის ყრამ აღმოაჩინა, რომ საკანონმდებლო კრებაში ამ რეზოლიუციის მომხრე იყო 45 კაცი, წინააღმდეგი-კი მხოლოდ სამი. სენატში მომხრე—30, წინააღმდეგი—1.

რეზოლიუცია სხვა შტატებშიაც გავრცელდა, მაგრამ კოლორადოს მცხოვრებთათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია: შტატის ვაიომინის გარდა, სადაც ქალებს კოლორადოზე უფრო ადრე მიეცა უფლებანი, მიენიჭა პოლიტიკური უფლებანი ქალებს მხოლოდ ორ შტატში—უტასა და აიდეჰოში.

ქალები ამერიკაში გულმოდგინედ იბრძვიან პოლიტიკურ უფლებების მოსაპოვებლად. ბევრ შტატში ამისათვის განსაკუთრებული საზოგადოებანია დაარსებული, რომელთაც ერთმანეთთან კავშირი აქვთ. ყოველ წელს შტატების ფედერატიულ პალატის კომიტეტში ქალებს პეტიცია შეაქვთ ქალებისათვის პოლიტიკურ უფლებების მინიჭების შესახებ.

1904 წელს ერთმა გამოჩენილმა კოლორადოელმა ქალმა ჩიპმან კატემ მოწოდებით მიმართა საკანონმდებლო კომიტეტს ურჩევდა, დააჯერეთ პალატა დანიშნოს კომისია, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევს, თუ რა შედეგი მოჰყვა კოლორადოში და სხვა შტატებში ქალთათვის უფლებების მინიჭებასო. მოწოდება დეპუტაციამ გადასცა კომიტეტს და ამ დეპუტაციაში მონაწილეობა მიიღო ადამსმა, რომელიც ორჯერ იყო შტატის კოლორადოს გუბერნატორად. კომიტეტის ერთმა წევრმა ჰკითხა ადამსს: „რა აზრისა ხართ ქალთა უფლების შესახებაო“?

ადამსმა უპასუხა: „მე პირადად ვიცნობდი კოლორადოში 10 ათას ქალს. მათ შორის არც ერთი არ არის ისეთი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, პოლიტიკური უფლებანი რომ მიენიჭა, უარესი ქალი, უარესი დედა და დიასახლისი გახდაო.“

ბოლოს უნდა დავსძინოთ, რომ შტატ კოლორადოში სახალხო განათლების საქმე ქალს, მის ელენ გრენფელსა აქვს მინდობილი. იგი ორჯერ იქნა არჩეული ამ თანამდებობაზე და ამ ბოლო დროს კიდევ მესამეჯერ აირჩიეს. სწავლა-განათლების მხრივ კი შტატებს შორის კოლორადოს მოწინავე ადგილი უჭირავს.

წერილები

სოფ. ვაქირი (ქიზიყი). მაშინ, როდესაც ქვემო ქიზიყში უკვე დაირღვა კლავინდებური სიწყნარე, დღევანდელმა განმათავისუფლებელმა სიომ დაჰბერა და დაბეჩავებულმა ხალხმა ასე თუ ისე იწყო გამოფხიზლება, ვაქირი ჯერ სადათას ძილს მისცემია და სრულიად არ ეტყობა არავითარი სიცოცხლე. გეგონებათ აქ მცხოვრებნი ამ ქვეყანაზე არა სცხოვრებენო. არ მიუღწევია მათ ყურამდეს არავითარ ხმას დღევანდელ მოძრაობისას. (სოფ. ვაქირი ერთი უდიდესი სოფელია ქიზიყში, მდებარეობს იქვე ქალაქ სიღნაღის ახლო,) მაგრამ სიღნაღს, როგორც უკულტურო და უმოძრაო ქალაქს, არავითარი გავლენა არა აქვს, გარდა გარყვნილება-ლოთობისა, და ეს სენი განსაკუთრებით გადასდებია ვაქირს და ანაგაკარდანახს. თვით ქალაქ სიღნაღზე აქ არას ვიტყვით, რადგან არცა ღირს ეს ქალაქი სათქმელად და ლაპარაკი მასზე დროს დაკარგვა იქნება. დაუბრუნდეთ ისევ სოფ. ვაქირს. როგორც ვსთქვით ეს სოფელი უდიდესი სოფელია ქიზიყში; მცხოვრებნი მისდევენ განსაკუთრებით მეთამბაქოობას და ხვნა-თესვას. ვერ ვიტყვით, რომ მცხოვრებნი მეტად შეძლებული არიან, მაგრამ ნახევარზე მეტი მაინც კმაყოფილია თავის ბედის, რადგან ლუკმა პური მოეპოვება, ამას იქით მათი მოთხოვნილება აღარ მიდის, თითქოს მარტო პურით უნდა სცოცხლობდეს ადამიანი და სხვა საზრუნავი აღარა ჰქონდეს-რა. მცირე ნაწილი კი მცხოვრებლებისა უფრო ღატაკია. საუბედუროდ, ეს მცირე ნაწილი დღევანდელ უკუღმართ პირობების წყალობით ყველაფერში ემორჩილება უფრო შეძლებულ ნაწილს და ხმის ამოღებას ვერ ჰბედავს და თუ ხმას ამოიღებს, შეძლებული გლეხობა ხმას აწყვეტინებს და ყველა საქმე ისე ბოლოვდება, როგორც მასა სურს.

სწავლა-განათლების მხრივ სოფ. ვაქირი უფრო დაქვეითებულია, ვიდრე რომელიმე სხვა სოფელი ქიზიყში. ვერ ნახავთ ვაქირში კაცს, რომ ეინტერესებოდეს, თუ რა ხდება მის გარშემო; ვერა ნახავთ, რომ ვინმემ ხელში გაზეთი აიღოს და წაიკითხოს' პირიქით, რომ კითხულობდე, ყურსაც არ დაგიგდებენ და პირდაპირ მოგთხოვენ არ წაიკითხოო. ამ სოფელს ისე აქვს დაკარგული უნარი თვით-მოქმედებისა, რომ უბრალო საქმისათვისაც-კი თავ-პირს იმტვრევენ პოლიცია-სასამართლოსკენ, არ დაგიდევენ თუ დრო ეკარგებათ და ხარჯიც დიდი მოსდით, მაშინ როდესაც სხვა სოფლები ასე თუ ისე გაურბიან ამავე დაწესებულებებს. ამისთანა შეუგნებელი და გაუგებარია ვაქირი. ამ რამდენიმე დღის წინად ერთ ხევზე, სადაც ბოგირია გადებული, კრამიტით დატვირთული ურემი უნდა გაეტარებინათ; რადგან მისავალი გზა დაქანებულია, საქონელი გამოეშვათ და ხელით უნდოდათ გაეტანათ ურემი მეორე მხარეს. მაგრამ, ვაი უბედურებას, დამპალი ბოგირი ჩაინგრა და ურემი ხევში მიექცა თან სამი კაციც გადაიტანა. მთლად დამტვრეულნი, ცოცხალ-მკვდარნი ძლივს ამოათრიეს. აი ამას იქით რომ უთხრათ, სხვის ხელში შეყურება ამისთანა უბედურება მეტს არ მოუტანს ხალხს და საჭიროა ხალხმა უპატრონოს თავის თავსაო, მაინც ვერას დაჯერებთ ამ ჯიუტ ვაქირელებს. დროა ვაქირლებმა მიიხედმოიხედონ გარეშემო და უპატრონონ თავიანთ თავს.

განწირული

წერილი რედაქციის მიმართ

I

ამას წინად თქვენს გაზეთსა და „ივერია“-ში აღნიშნული იყო, რომ მე, როგორც ანანოვების მამულის მოურავმა, წინადადება მივეცი გლეხთ აერჩიათ თავიანთ შორის დეპუტატები, რათა მოგველაპარაკნა იმ საჭიროებებზე, რომელთა დაკმაყოფილება მოითხოვეს მემამულესაგან. შემდეგ „ივერიის“ № 48-ში ნათქვამი იყო, რომ „სიმონეთის საზოგადოებამ აარჩია კიდეც ხუთი კეთილსინდისიერი და რომ ხუთივე ამ ჟამად დატუსაღებულია“-ო. რომ ამ შენიშვნამ გაუგებრობა რამ არ გამოიწვიოს, გთხოვთ შემდეგი განმარტება დამიბეჭდოთ:

1) შენიშვნაში აღნიშნული კეთილ-სინდისიერნი, როგორც აღმოჩნდა, არჩევნების წინად ყოფილან დატუსაღებულნი, ასე რომ იმათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ჩვენს მოლაპარაკებაში. 2) ჩემი მოლაპარაკება გლეხების წარმომადგენელებთან მშვიდობით გათავდა და იმათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქმნენ, რამაც გლეხობა დაამშვიდა. ყოველს შემთხვევაში, ანანოვების მამულის გამგეობა სხვა ადგილობრივ მემამულეთა ადრე შეეცადა გლეხთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

ი. ანანოვის მემკვიდრეთა მამულის გამგე

ა. ტატევოსიანი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 მაისი

ვლადივოსტოკი, 24 მაისი (საკუთ. კორესპ.). გაგრძელება. 14 მაისს გვიან საღამოს ჩრდილოეთისკენ მოძრაობის დროს ვხვდებოდით ჩვენს გემებს, რომელნიც იქითკენვე მიდიოდნენ. ნაღმოსანი „გროზნი“ შეუერთდა „დმიტრი დონსკოი“-ს. მივდიოდით ერთად ღამით მოვიდა „ბუინი“ და სიგნალით გვანიშნა, ნახშირი აღარა მაქო. დაიწყეს ნახშირის გადატვირთვა „დმიტრი დონსკოი“-დან. ამავე დროს მოვიდა „ბედოვი“ და სიგნალი მისცა „გროზნი“-ს, უკან გამომყე, რადგანაც ადმირალი ნაღმოსანზეაო. გვიან გაიგეს, რომ როჟესტვენსკი დაჭრილიყო თავსა, მკერდში და სხეულის თითქმის ყველა ადგილებში; გავიგეთ აგრეთვე რომ დაჭრილი იყო თითქმის მთელი მისი შტაბი. ჩრდილოეთისკენ ერთად მიდიოდნენ „დიმიტრი დონსკოი“, „ბუინი“, „ბედოვი“ და „გროზნი“. ჯერ „დიმიტრი დონსკოი“ ჩამორჩა, მერე—„ბუინიც“; ალბათ დაზიანებული იყვნენ და იმიტომ. „გროზნი“-ს ებრძანა, ვლადივასტოკს წასულიყო, თუ ნახშირი არ ეყოფოდა—შასულიყო პოსიეტის პორტში; ჯერ-კი „ბედოვი“-ს მიჰყოლოდა უკან 15 მაისს დილით, კ. დაჟელეტის დასავლეთით ორი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსროლილი კვამლი შევამჩნიეთ, რომელნიც ჩვენკენ მოდიოდნენ. აღმოჩნდა, რომ იაპონელების ორი ნაღმოსანი მოგვდევდა: ერთი—მუსრავი, 500 ტონიანი, ამერიკულ ტიპისა და მეორე—კონტრ-ნაღმოსანი, ოთხ-საკვამლიანი. შეავიწროვეს „ბედოვი“. შევეკითხეთ ბრძოლას მიიღებთ თუ არა-თქო, მაგრამ პასუხი არ გაგვცეს. „გროზნი“ მიუბრუნდა მას, მაგრამ ბრძანება მიიღო მეორეჯერ, ვლადივასტოკს წადიო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 მაისი

პეტერბურგი, 24 მაისი. საგლეხო მიწათმფლობელობის განსამტკიცებლად მოწვეულ საგანგებო რჩევას 24 მაისს მესამე სხდომა ჰქონდა, რომელზედაც მოწონებულ იქნა პროექტი სადგილ-მამულო ბანკების შეკითხვისა ცნობების მოწოდების შესახებ: 1. ყველა იმ მამულების შესახებ, რომელნიც საჯარო ვაჭრობის დროს ვერ გაიყიდნენ; 2. ბანკში დაგირავებულ მამულებზე, რომელნიც იმ პირებს ეკუთვნიან, რომელნიც თავიანთის ხელით მუშაობენ, თუნდაც ზოგჯერ სხვისი დახმარებითაც; 3. ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა წლების განმავლობაში, რომ ბანკს ან სახაზინო დაწესებულებას საჯარო ვაჭრობით გაეყიდნათ ბანკში დაგირავებული მამულები, რომელნიც ან ცალკე გლეხს, ან გლეხთა ამხანაგობას ან და საზოგადოთ მესაკუთრეთა ისეთ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, რომელნიც თვითონაც იღებდნენ მონაწილეობას მიწის დამუშავებაში. ამის შემდეგ ლაპარაკი ჰქონდათ პროგრამის მესამე პუნქტის შესახებ და საჭირო სცნეს იხელმძღვანელონ საგლეხო კანონმდებლობის განსახილველად დანიშნულ კომისიის ნაშრომით; ეს ნაშრომი შეეხება გლეხების სანადელო მიწების კერძო საკუთრებათ გამოყოფას. გლეხთა ნადელების განსაზღვრის საკითხის შესახებ რჩევამ სახეში მიიღო, რომ პირველი პროექტი ამის შესახებ გარემიკინის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს იყო შემუშავებული, სიპიაგინმა ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოში შეიტანა, მაგრამ ისევ უკან იქნა იგი წაღებული და ბოლოს ხელ-ახლა იქნა გადასინჯული პლევეს დროს. რჩევამ მიანდო შეუფარდონ სამივე რედაქცია პროექტისა მოტივებს. მეოთხე სხდომა 26 მაისს იქნება.

პარიზი, 24 მაისი. „მატენ“-ის აზრით, მართალია დელკასემ შეცდომები დაუშვა მაროკოს საკითხში, მაგრამ უსამართლობა იქნება დაივიწყონ მის მიერ სამშობლოსთვის გაწეული სამსახური. რუსეთის დროებით დასუსტებით საფრანგეთში გამოწვეული ამბები ამტკიცებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის, სანამ რუსეთი ძლიერი იყო, საფრანგეთ-რუსეთის კავშირს, რომელიც ქვაკუთხედი იყო საგარეო პოლიტიკისა.

პარიზი. პალატაში ამბობენ, დელკასეს სამსახურიდან გასვლის წინ, შეტაკება მოუვიდა რუვიესთანო. დელკასეს მეგობრები ირწმუნებიან, მინისტრის სამსახურიდან გასვლა გერმანიის ბრალიაო. ჰფიქრობენ, რუვიე შეინარჩუნებს გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელსო.

ბერლინი, ვილჰელმმა ბიულოვი ინახულა.

პეტერბურგი, 24 მაისი. უმაღლესის ბრძანებით პეტერბურგის ქალაქის თავი ლელიანოვი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან (მისის თხოვნისამებრ.

კიევი, 24 მაისი. კიევის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში გლეხთა შორის დაიწყო ეკონომიური მოძრაობა.

ხარკოვი, 24 მაისი. კურსკ-ხარკოვ-სევასტოპოლის რკ. გზის ყველა გაფიცულ მუშებს დღეს ანგარიში გაუსწორეს.

პეტერბურგი, 24 მაისი. დღეს რჩევა ჰქონდა კომისიას უცხო ენებზე საზღვარ-გარეთ გამოცემულ ნაწარმოებების ცენზურის შესახებ და უმეტესობა შეუერთდა თ. შახოვსკის წინადადებას საზღვარ გარეთ უცხო ენებზე დაბეჭდილ და გამოცემულ სამეცნიერო წიგნების ცენზურის გაუქმების შესახებ; მხოლოდ ცენზურის ხელში რჩება ისევ ბელეტრისტიული, პოპულარულ-სამეცნიერო, ისტორიული, რუსეთის უკანასკნელ ასი წლის ცხოვრების შესახები ნაწარმოებებ კარიკატურული სურათები და ბარათები და სხვა ნახატები, ყველა იმ ენებზე დაბეჭდილ-დახატულნი, რა ენაზედაც რუსეთში მცხოვრები ტომები ლაპარაკობენ. ფოსტის ცენზურის ქვეშ დარჩა საზღვარ-გარეთული პერიოდული გამოცემანი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

---

*) იხ. „6 ფ.“

*) ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენ დაგვიგვიანდა. რედ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ბორჯომში ქირით იძლევა ახლად შეკეთებული ავეჯიანი ორ-სართულიანი აგარაკი, აბესალომოვისეული, რომელიც ეხლა ქ. ტფილისს ეკუთვნის. ხუთი ოთახი ძირითა სართულშია, 4—ზემოთაში.
პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—3)

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ბანკის ქუჩაზე, ამხ სტამბაში. (25—2)

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლების მოსართავი სურათები:
შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძე. (20—1)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

მთავარი საწყობი შეშისა
✦ პ. ი. კურცხალიასი ✦
ანდრეევის ქუჩა, დამოენის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან მილებულია და ვიღებთ ყოველ დღე დიდ-ძალ შეშას,** სხვა-და-სხვა ღირსებისას; რცხილისას, წიფლისას, რთხმელისას, მუხისა და სხვა. მუხის დიდ-ბოძებს. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. **მსყიდველს შეუძლიან რკინის გზის სადგურზედვე შეიძინოს შეშა ვაგონობით,** რაც შედარებით, მთავარ საწყობთან. **იაფად დაუჯდება. ფასები** ყველა გვარ შეშის საჟენებზე **გადაჭრილია.** განყოფილება მთავარ საწყობისა ვერის ხიდის ყურთან, ყორღანოვის მამულში.
(90—65)
გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—Г.—36)